ამიერ-კავკასიის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაცია. 11 მარტი 1918 წ.

პროლეტარეთო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! ფასი 50 კაპ.

ახალი ვალი

ყოველ-კვირეული სამეცნიერო საპოლიტ. და სალიტერ. ჟურნალი.

№ 7 ორგანო ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციებისა. № 7

რედაქციისაგან: ამიერიდან ჩვენი ჟურნალი, სხვა და სხვა ჩვენგან დამოუკიდებელ ტეხნიკურ ხასიათის მიზეზების გამო, გამოვა ათ დღეში ერთხელ. ვეცდებით ჩქარა ისევ კვირეული გავხადოთ.

შინაარსი: 1) ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციებს. (ც.-კ. მოწოდება). 2) ერთი წლის შემდეგ.—ა.—ი. 3) ბარათაშვილი (კრიტიკული ეტიუდი).—არ. მექანარიშვილი. 4) აგრარულ რეფორმის გარშემო.—ა.—ი. 5) ანარქისტების მოძღვრება და. მარქსიზმი.—მ. ხუნდაძე. 6) კოოპერაცია და ქართველი ს.-ფედერალისტები.—ს. მიხელიძე. 7) გურიის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციების კონფერენცია. (ანგარიშები). 8) ამ.-კავკასიის ახალგ. მარქს. პირველი კონფერენცია. (მოსსენებები აღგილებიდან). 9) ახალგაზრდა მარქსისტთა შორის. (კორესპოდენციები).

ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციებს.

13316

ამხანაგებო!

ამიერ-კავკასია საბედისწერო მომენტს განიცდის. შინაურ ანარქიას და არევ-დარევას, რომელსაც მთელი თავისი ძალ-ღონით ებრძოდა ჩვენი ქვეყნის დემოკრატია, ზედ დაერთო საფრთხე გარეშე მტრის შემოსევისა. მიუხედავად საზავო მოლაპარაკებისა, ოსმალეთის ჯარი ჩვენ საზღვრებს უახლოვდება.

რუსეთში ხალხმა ვერ შესძლო მტერთან გამკლავება და ის თავისუფლება, რომლისთვისაც ამდენი უმანკო სისხლი დაიღვარა, გერმანიის იმპერიალიზმის მოუხეშავ ქუსლის მიერ იქნა გათელილი.

ჩვენ ქვეყანას იგივე ხვედრი მოელის, თუ ჩვენ ვერ შევძელით დავიცვათ თავისუფლება და ჩვენი ფიზიკური არსებობა. ოსმალეთის ბატონობა —ჩვენთვის ყოველივე ძვირფასის დამსხვრევა იქნება; დამსხვრევა, როგორც რევოლიუციის მიერ მოპოებულ, ისე მრავალ, ტანჯვით სავსე, წლეებში შექმნილ კულტურულ და სოციალურ ღირებულებათა. ჩვენ ქვეყანას სრული პოლიტიკური და ეკონომიური დაუძლურება მოელის.

ღღვს დადგა წუთი, როცა შემთხვევა გვეძლევა დავამტკიცოთ, რომ ჩვენ ღირსეული მემკვიდრეები ვართ თავისუფლებისა, რომ ჩვენ შეგვიძლია არა მარტო მივიღოთ ეს თავისუფლება, არამედ იარაღით ხელში დავიცვათ იგი.

საჭიროა მთელი ჩვენი ახალგაზრდური ენერგია შევწიროთ ამ დიდ საქმეს. ახალგაზრდობას მუდამ ცეცხლი და აღფრთოვანება შეჰქონდა ყოველ რევოლიუციონურ მოძრაობაში და ღღესაც არ უნდა უღალატოს ამ გზას.

არ უნდა გვავიწყდებოდეს უდიდესი ლოზუნგი ჩვენი ქვეყნის დემოკრატიისა: თუ რუსეთს რეაქციის ალი მოედება, ამიერ-კავკასია რუსეთის რევოლიუციის თავრიზათ უნდა გადაიქცეს.

ამხანაგებო!

ცენტრალური კომიტეტი ამიერ-კავკასიის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციისა მოგმართავთ თქვენ მოწოდებით ჩაეწეროთ ჯარში, ვისაც კი იარაღის ტარება შეგიძლიათ და საერთოდ ყოველგვარი დახმარება გაუწიოთ თავდაცვის საქმეს.

მაშ მხნეთ ამხანაგებო!

გაუმარჯოს რუსეთის რევოლიუციას!

გაუმარჯოს თავისუფლებას!

გაუმარჯოს სოციალიზმს!

ცენტრალური კომიტეტი ამიერ-კავკასიის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი წლის შემდეგ

გავიდა ერთი წელი, წელი — საუკუნე...

ისტორიის წიგნში ამიერიდან ერთი საკვირველი ფურცელი შეაჩერებს ცნობის-მოყვარეს ყურადღებას: ფურცელი სისხლში და ტალახში მოსვრილი, დიად ტანჯვისა და მასთან დიად სიხარულის მეტყველი; ნახავს მას მომავალი ადამიანი და მწარე ღიმილით, თან კი ნაზი სიყვარულით წაიკითხავს პირველ სიტყვებს: „რუსეთის დიდი რევოლიუცია“.

ამბობენ: უკიდურესობანი ერთდებიანო და რუსეთის რევოლიუციაც თითქოს ყოველ უკიდურესობის საზღვარზე დაბადებულაო, საკვირველ წინააღმდეგობათა ბადეში იქნა გახვეული...

შავ ჯურღმულებში და ცივ სარდაფებში მრავალ წლობს განმავლობაში გროვდებოდა ბოღმა ხალხისა და იგი უნდა გადაქცეულიყო ხალხის რისხვათ, რისხვათ, რომელიც ნიაღვარივით წალეკავდა ხალხის მტარვალებს. სამი წლის ომმა დასტანჯა და დაქანცა ხალხი, მაგრამ მისი ნაღველის ფიალაც აივსო და მისი მრისხანება დიად მოძრაობათ გამოიხატა.

აქედან იწყება ხანა ხალხის ბატონობისა...

მაგრამ ძველმა ქვეყანამ მას უანდერძა მძიმე ჯვარი, რომელსაც შავის ასოებით ეწერა: ომი და ანარქია. ამის იქით თვით ხალხს უნდა ეზიდა იგი. და მან იწყო ეს გრძელი და საბედისწერო გზა...

პირველ თვეებში ეს გზა ვარდებით იყო მოფენილი...

— ბრძოლის ველზე დახოცილთა საფლავებზე გიწვდით ხელს რუსეთის მშრომელი ხალხი დასავლეთ ევროპის პროლეტარიატს. ჩვენ დავამხეთ თვითმპყრობელობა, ჩვენ მოვიპოვეთ თავისუფლება და ეხლა მოგიწოდებთ თქვენ საერთო ძალ-ღონით მოვსპოთ ეს საზარელი ომი კაცობრიობის საკეთილდღეოთ...—გაისმა პეტროგრადიდან 14 მარტს იმედით და ენერგიით სავსე სიტყვები.

მაგრამ ისტორიის ნემეზიდა მეტად მკაცრი და ულმობელი გამოდგა...

სიხარული თანდათან შავი ზეწრით შეიმოსა: ხალხს არ ეყო ძალა შემოქმედებისათვის, იგი ომით მეტად დაქანცული გამოდგა. მას არ ჰქონდა უნარი ბრძნულ და მომთმენ მოქმედებისათვის, ძველი წეს-წყობილებით მისი არსება მოშხამული და დამაბინძებული იყო.

Le mort saisit le vif... მკვდარს ცოცხალი უჭირავს... მკვდრის აჩრდილი ისევ ჩვენ შორის არის და შურს იძიებს...

რაც დრო გადიოდა ჯვარი იგი მით უფრო მძიმე ტვირთად აწვებოდა გაწვალებულ ხალხს. თვით მათ შორის თავი იჩინა უთანხმოებამ, შეღლამ და ბრძოლამ; უკმაყოფილო ნაწილი წამდაუწუმ სცვლიდა თავის მეთაურებს. რაც უფრო იზრდებოდა სიძნელე ეკლიან გზისა, მით უფრო მეტი სურვილები აღიძვრებოდა ხალხის გულში; რაც უფრო მძიმდებოდა ტვირთი, ავადმყოფი ოცნება მით უფრო მშვენიერ მიზნებს ისახავდა და ოცნების კოშკებს აშენებდა. ამაში იყო უმთავრესი ტრაგედია რუსეთის რევოლიუციისა.

— ჩვენ უნდა გავაკეთოთ ნახტომი აუცილებლობის სამეფოდან თავისუფლების სამეფოში: ჩვენ უნდა ვითაოთ სოციალური რევოლიუცია—25 ოქტომბრიდან გამუდმებით ისმის მხურვალე სიტყვები დაბრმავებულ სახალხო კომისრებისა.

ვერ აიტანა ტვირთ-მძიმე და მაშვრალმა ხალხმა ეს ნახტომი, იგი კიდევ უფრო გაიხრწნა და რკინის მუშტის მიერ იქნა გაჟყლეტილი.

იგი თვით აცვეს იმ ჯვარზე, რომელიც ერთი წლის განმავლობაში ტანჯვითა და ვაი-ვაგლახით ზიდა.

დღეს მის გოლგოთაზე შავი დროშა ფრიალებს...

გავიდა მხოლოთ ერთი წელი, მაგრამ წელი—საუკუნე...

ისტორიის წიგნში ერთი საკვირველი ფურცელი ჩაიწერა: ფურცელი დიად ტანჯვისა და თან დიად სიხარულის მეტყველი... და თვით ბრმაც კი ამოიკითხავს იქ, იმედს განახლებისას, აღდგომას **ადამიანისა.**

—ა.—ი.

ნ. ბარათაშვილი.

(კრიტიკული ეტიუდი).

აკაკის შემდეგ, მე-XIX-ტე საუკუნის მეორე დიდი **მგოსანი** ჩვენთვის არის ნ. ბარათაშვილი. ბარათაშვილი ისეთი მგოსანია, რომლის კითხვა, რომლის შესახებ წერა და ლაპარაკი როდი მოსწყინდება კაცს. რატომ? იმიტომ რომ ბარათაშვილი ადამიანის სინიდისია, მისი სულიერი ცხოვრების მთავარი ნატეხია, მისი ინდივიდუალობაა. იგი შეეხო თავის პოეზიაში იმ კითხვებს, რომელთა შესწავლა ადამიანს ყოველთვის ესაჭიროება; ბარათაშვილის მთელი პოეზია ადამიანის ფსიქიური განცდაა, ყოველი მისი ნაკვთი ადამიანის სულის გამოძახილია და სანამ არსებობს ეს ადამიანი, მანამდე მისი ქნარის სიმთა ჟღერაც შეუწყვეტელი იქნება.

ერთ ალაგას ლ. ტოლსტოი ამბობს, რომ ჭეშმარიტი გენიოსები ჩნდებიან არა მარტო ჰორიზონტალურათ ე. ი. არა მარტო საერთო განვითარებასა და აღორძინების დროს, არამედ ვერტიკალურათაც, უცბათ, სპორადიულათ და ყოველ ხანში, იქნება ეს დაცემის თუ აღორძინების ხანა. ეს დებულება რამოდენიმეთ ბარათაშვილზე მართლდება. მისი გენია ჩვენი ქვეყნის მოღუშულ ცას მოულოდნელათ მოევლინა. თუ რა დრო იყო ბარათაშვილის დრო, ე. ი. მე-XIX-ტე საუკუნის მე-20—30—40-ე წლები, ეს ჩვენ ეხლა საკმაოთ კარგათ ვიცით, რადგანაც ერთობ დიდი, როგორც ოფიციალური, ისე არა ოფიციალური, ლიტერატურა არსებობს ამ ხანის გამომხატველი. მაგრამ ამ შემთხვევაშიც ჩვენ რომ ისევ სიტყვა-კაზმულ ნაწარმოებს მივმართოთ, აშკარათ დავინახავთ, რომ ი. ჭავჭავაძის მიერ კლასიკურათ დასურათხატებულნი, ჯერ ლუარსაბ თათქარიძე („კაცია-ადამიან“-ში) და შემდეგ დათიკო („გლახის ნაამბობ“-ში), იმდენათ, რამდენათაც იგინი რეალური ტიპებია, ამ დროის ღვიძლი შვილებია. სოფელი ამათი იყო და ქალაქიც ამათივე სულიერი მონათესავეების, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ქალაქში „ბრეკვიალა ჩინ-მენდლობა“ იყო გაბატონებული. აშკარა იყო, რომ ამ ხნიდან ძველი ნატურალური მეურნეობა და მასზე აღმოცენებული წესწყობილება ნელ-ნელ და აუცილებლივ უნდა გახრწნილიყო და იჩინა. კიდეც ამ პროცესმა თავი, მაგრამ ჯერ ახალი ცხოვრების **მატარებელი** ძალა **არსად სჩანდა.** ამიტომ სრული ზნეობრივი და გონებრივი **არარაობა** ყველგან, უაღრესათ განვითარებული ბატონ-ყმობა, გაძვალტყავებული გლეხობა, რომელსაც ბატონის 112 მოთხოვნილება უნდა დაეკმაყოფილებინა, უკანტროლო თარეში ველური ბიუროკრატიზმის—აი ზოგადი მხარეები ამ სავალალო დროისა.

აი ამ საერთო დეგენერაციის ერთი საღი გამონაკლისთაგანი ნ. ბარათაშვილი იყო. ის იყო მართლაც ის სუმბული, რომელიც სხვას არ ჰგავდა, იგი უდროო მერცხალი იყო, რომელსაც მკაცრი დასუსხვა მოელოდა. და მართლაც ტრაგიკულია ამ მგოსნის ბედი. იგი თავის დროში მთლათ გაუგებარი და უცნობი დარჩა. ჯერ კიდევ მე-XIV-ტე საუკუნეში **დანტეს** ნახევარი ცხოვრების მიჯნათ 30 წელი მიაჩნდა, შემდეგ იწყობა ცხოვრების მეორე ნახევარიო. ბარათაშვილი 29 წლის ჭაბუკი გამოესალმა დაუნდობელ წითისოფელს. ისიც აშკარაა, რომ ადამიანი ცხოვრების მეორე ნახევარში უფრო შემომქმედია, ვიდრე პირველში. ამას რომ დაუმატოთ ისიც, რომ ის რამოდენიმე ლექსი, რომელიც პოეტმა მოასწრო დაეწერა, იწერებოდა მშრალ საკანცელარიო ქალალდებთან ერთად, ნათლათ წარმოვიდგენთ, თუ როგორი იყო ხვედრი პოეტისა. ბარათაშვილმა ანი სთქვა და ბანის თქმა აღარ დასცალდა. მისი ორიოდ ათეული ლექსი ბევრს ვერავის დააკმაყოფილებს, მაგრამ იგი ისე ძლიერია სულიერი პროტესტით, არსებულის უკმაყოფილობით, დაუსრულებელი ძიებით, აზრთა სიდიადით და გონებრივი მისწრაფებით იდეალებისადმი, რომ მთელი მისი პოეზია ქვაკუთხედათ დაედო შემდგომ ლიტერატურას.

საერთოდ **იდეას** დიდი მნიშვნელობა აქვს; იდეა, რამდენადაც იგი მომწიფებული, დროს შესაფერისი და სამართლიანია, იმდენათ სწრაფად ვრცელდება ხალხში. მაგრამ ეს ბევრის შემძლე იდეები თავის და თავათ როდი იქმნებიან, ისინი ზეციდან კი არა სცვივიან, არამედ ეს იდეები შედეგია ადამიანთა სოციალური და ნივთიერი, წმინდა მატერიალური განვითარებისა. სანამ თვით იდეა შეიქმნებოდეს, არის მიზეზი ამ იდეის შექმნისა. თვით იდეა მეორე, დამოკიდებული ფაქტორია, შედეგია პირველი ფაქტორისა და ეს პირველი ფაქტორი არის ადამიანთა ეკონომიური ვითარება, ე. ი. მათი მატერიალური ყოფა-ცხოვრება, საწარმოვო

ძალთა მდგომარეობა. და რამდენათაც იცვლება ამ საწარმოოო ძალთა ურთიერთობა, იმდენათვე იცვლება ზედნაშენი იდეები, კვდება ძველი და ჩნდება ახალი. ეს ახალი იდეა იმარჯვებს, მაგრამ სამეურნეო ცვლილება კიდევ ხდება, საწარმოოო ძალები განვითარების სხვა ფაზისში გადადიან და ეს ახალი იდეაც უკვე ძველდება, მის ალაგას სხვა, უფრო ახალი იდეა ჩნდება. კიდევ საწარმოებს ანტაგონიზმი ამ ძველს და ახალ იდეას შორის და, რადგანაც ახალი სამეურნეო ფორმა იმარჯვებს, იმარჯვებს ახალი იდეაც. ეს პროცესი სწარმოებს ნელ-ნელა, თანდათანობით. იდეები ხშირად კონსერვატიულია უფრო. ასეთია სოციალური ევოლიუციის, ისტორიული მსვლელობის კანონი. მაგრამ, როგორცა ვსთქვით, რახან იდეა გაჩნდა, მოწიფდა, ამ იდეას უდიდესი ძალა და გავლენა აქვს საზოგადოებაში; „ამ დროს იდეა ხდება უმძლავრეს ფაქტორათ საზოგადოებრივ განვითარებაში, შეგნება და შემეცნება უდიდეს როლს თამაშობს მაშინ და ისტორიაში შემოდის ამ დროს ფსიქოლოგიური ფაქტორიც“. *).

იდეათა ეს უდიდესი ძალა და გავლენა ნათლათ გამოჩნდა მე-XIX-ტე საუკუნის დასაწყისს ევროპაში. მთელ განათლებულ ევროპას მოედვა უკმაყოფილობის გრძნობა დიდი რევოლიუციის შემდეგ. რევოლიუციამ თავისი საქმე გააკეთა: ეკონომიური განვითარება ერთი საფეხურიდან მეორეში გადავიდა, სახელდობრ ფეოდალური წარმოება შეიცვალა ბურჟუაზიულ წარმოებათ, ერთმა კლასმა მეორეს დაუთმო პოლიტიკური და უფლებრივი ბატონობაც. ამას იდეათა რყევაც მოჰყვა. იმ რევოლიუციისაგან ბევრი დიდ რამეს მოელოდა, ეგონათ, თუ: დამკვიდრდებოდა „კაცთა შორის სიყვარული და სათნოება“, ის მაღალ-აზროვანი სიტყვები: ძმობა, ერთობა, თავისუფლება, რომლებიც მაშინ გაისმოდა, ნამდვილათ მხოლოდ ბურჟუაზიული არისტოკრატიის მაშტაბით განხორციელდა, რის შემდეგ ბონაპარტეს რეაქციაც გამეფდა. ამიტომ აბსოლიუტური სამართლიანობის მიმდევარი მოაზროვნენი გაბრუებულნი დარჩნენ და იმედი დაეკარგათ. ისინი მთლათ ჩაიკეტნენ საკუთარ „მე“-ში, პირადობაში და იქ დაიწყეს ძიება ჭეშმარიტებისა. ამ მოაზროვნეთა შორის პირველი ალაგი ინგლისელ ბაირონს უჭირავს. ბაირონის პესიმიზმის წარმოშობაზე, როგორც მისმა პირადმა, ისე ყმთავრესათ ინგლისის, და ევროპის იმ დროინდელმა ეკონომიურმა და საზოგადოებრივმა მდგომარეობამ იქონია გავლენა. *) აგრეთვე ჩვენ კარგად ვიცით, რომ ბაირონი არისტოკრატიულ კლასს ეკუთვნოდა, მაგრამ იგი ნათლათ ხედავდა, რომ ამ კლასში რეაქციონერობის მეტი არაფერი არ იყო და ისიც იძულებული იყო წასულიყო ამ კლასის წინააღმდეგ. მოვიგონოთ მისი ბრძოლა მათთან (რეაქციონერებთან) კათოლიკეთა ემანსიპაციისათვის. მაგრამ იგი ბურჟუაზიული კლასის წინააღმდეგიც იყო, მისი მშრალი ინტერესით, მისი მოუსვენარი ქალაქური ცხოვრებით; ბაირონს სძულდა ეს ბურჟუაზია, ეს საქარხნო ხმაური და ქალაქის ჟრიამული, იგი მიისწრაფოდა ბუნების წიაღში, ის უფრო თანაუგრძნობდა მუშათა კლასს, ვიდრე ამ ბურჟუაზიას (გაიხსენეთ მისი პირველი სიტყვა ლორდთა პალატაში წარმოთქმული ნოტინგმელი მუშების დასაცავათ), მაგრამ მას თავისი სოციალური მდგომარეობის გამოისობით იმდენი ენერგია არ ჰქონდა, რომ საბოლოოთ და მთლიანათ დაყრდნობოდა მუშათა კლასს და ასე, მის პოლიტიკურ გამოურკვევლობას, უპროგრამობას კიდევ ზედ რომ დურთოთ პირადი უიღბლობა ცხოვრებაში, ჩვენ უკვე აშკარათ დავინახავთ, თუ საიდან წარმოსდგა ბაირონის, ამ სულით და გულით რევოლიუციონერის, მოფლიო სევდა, მისი საკაცობრიო პესიმიზმი. **) ბაირონის მთელი პეზია მისი სულის ძახილია, მისი შემოქმედება ადამიანის სულიერი ორგანიზაციის სხვა და სხვა გამოხატულებაა, მისი მოუსვენარი სულის მუდმივ ახლის ძიება და არსებულის უკაყოფილებაა. აი ამ ცხოვრების უკმაყოფილობის და ახლის ძიების იდეამ ფრთა გაშალა და მთელ ევროპას მოედვა: საფრანგეთში და გერმარიაში, ესპანიასა თუ იტალიაში, რუსეთში თუ პოლონეთში ყველგან ჩაითესა მისი თესლები. ჩვენში საუკეთესო გამომხატველი ამ დაუდგრომელი სულისა, ამ უკმაყოფილობისა და ახლის ძიებისა, ამ მაღალი აზრებისა არის ნ. ბარათაშვილი.

ბარათაშვილი არსებითად არ იცნობდა არც

*) Крживицкій „Генезисъ идей“...

*) იხ. П. Коганъ „Очерки зап.-европ. лит.“.

**) იხ. Прив.-доц. В. Фриче „Зап.-Европ. литература:—Байронъ“.

ბაირონს და არც სხვებს, მაგრამ იგი რაღაც შინაგანი ძალით დაენათესავა მათ, ავიდა იმ სიმაღლეზე და მოგვცა საუცხოვო მარგალიტები, როგორც აზრის, ისე შინაგანი ძლიერების და ფორმის, ესთეტიური სილამაზის მხრივ. ბარათაშვილი ნიჭის, სიბრძნის და აზრის ერთი საუკეთესო ნატეხია. იგი იმითია ჩვენ ხელოვნურ ლიტერატურაში ძლიერი, რომ მასში ღრმათ დაიკვნესა ადამიანის სულმა, მისგან გაისმა აზრიანი ძლიერი სიტყვა, მან პირველმა მოაშორა იმ შავ-ბნელ დროში სუფრისა და სადღეგრძელოების პოეზიას თვალი, გასცილდა ამას, გადალახა ყოველგვარი ზღუდეები და მოგვცა მშვენიერი მსოფლიო მოტივები, აგებული ადამიანის გონების, გრძნობის და ნებისყოფის სირთულეზე, ჩამოსხმული უაღრესათ ლირიულ ჩარჩოში. ბარათაშვილიც უმთავრესათ ლირიკოსია და როგორც ასეთი, იგიც მრავალფეროვანი და მეტად მგრძნობიარეა, ყოველი მისი სიტყვა გულის სიღრმიდან ამოკვნესილი ძახილია. ჩვენში იშვიათია მასავით სპეტაკი და ძლიერი გრძნობის მქონე მგოსანი. მისი ლირიზმი უმთავრესათ ტრაღიკულია. იგი ტანჯვისა და დაუსრულებელი ნაღვლიანი გრძნობის მატარებელი ადამიანია. მაგრამ საიდან წარმოსდგა ეს მისი ტრაღიზმი, ეს პესიმისტური და ნაღვლიან დადარდიანებული გრძნობა მის პოეზიაში? რამ გახადა ჩვენი პოეტი „ჭკუით ურწმუნო, გულით უნდო, სულით მახვრალი"!?

(დასასრული იქნება).

არ. მექანარიშვილი.

აგრარულ რეფორმის გარშემო.

აგრარულ საკითხს რუსეთის რევოლიუციისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა; ის, შეიძლება ითქვას, უმთავრესი ღერძი იყო, რომელზედაც რევოლიუცია ტრიალებდა; რუსეთის რევოლიუციონურ დემოკრატიის უმრავლესობა, გლეხობა—მხოლოდ ამ საკითხში ჰგრძნობდა მწვავეთ, არსებულ საზოგადოებრივ წინააღმდეგობას, მისი უკმაყოფილება უმთავრესათ მიწის უსწორმასწორო განაწილებით იყო გამოწვეული. ამისთვის, რასაკვირველია, აგრარულ საკითხის სწორ გადაჭრაზე იყო დამოკიდებული ბოლოს და ბოლოს რევოლიუციის ბედ-იღბალი.

მაგრამ ამ ძირითად საკითხს რუსეთის რევოლიუციის მსვლელობამ დედი-ნაცვლობა გაუწია; იგი სხვა და სხვა პოლიტიკურ და სოციალურ წინააღმდეგობებში იხლართებოდა და დროთა განმავლობაში გაუვალ ქსელში იქნა გაბმული. პირველ თვეებში, როცა დამფუძნებელი კრების იდეა ხალხში ძლიერი და ცხოველ-მყოფელი იყო, ცხადია, აგრარულ საკითხის გადაჭრა თვით ხალხს დამფუძნებელ კრებისათვის უნდა გადაეცა. და აი გლეხობაც ელოდა. აქა იქ თუ დაინთებოდა უკმაყოფილების ცეცხლი, მაგრამ საერთოდ ეს ლოდინი შეგნებული და წესრიგიანი იყო. როცა კი დამფუძნებელ კრების მოწვევას კითხვითი ნიშანი დაესვა, რომელიც დღითი-დღე იზრდებოდა—გლეხობაშიაც დაიბადა უკმაყოფილება, წეს-რიგი დაირღვა და ანარქია თანდათან გაძლიერდა. და აი სახალხო კომისართა დეკრეტი, მათის აზრით, პანაცეია უნდა ყოფილიყო გლეხობისათვის; მაგრამ საერთო არევ-დარევაში, პოლიტიკურ ბრძოლაში აგრარული საკითხის სასწრაფო გადაჭრამ მახინჯი ფორმები მიიღო; მით უფრო, რომ სახალხო კომისართა საბჭომ ვერ შესძლო ამ საკითხის გატარების გარშემო მოქნილი, მოძრავი და შესაფერ დონეზე მდგარი აპარატი ემუშავებინა, რომელიც გლეხობის სტიქიურ მოძრაობას კალაპოტს მისცემდა და მწყობრ ფორმებათ ჩამოასხამდა. მიწები სხვა და სხვა მოხერხებით სოფლის მდიდრებმა, ჩარჩებმა, ეგრ. წოდ. „კულაკებმა" ჩაიგდეს ხელთ და ერთი პრობლემის მაგივრათ სოფელში რამდენიმე თავსატეხი პრობლემა შეიქმნა.

ასეთი იყო რუსეთში აგრარულ საკითხის ბედი. ყველაზე უფრო ამ საკითხში გამოაშკარავდა წინასწარ-განზრახულ გეგმის და კონკრეტულ განვითარების, ოცნებისა და სინამდვილის რევოლიუციის დროს შეუთანხმებლობა. არც ერთ აგრარულ პროგრამას არ ეღირსა ცხოვრებაში გატარება. ამ მხრივ მუშათა და აგრარულ საკითხს შორის ძირითადი განსხვავებაა. მუშათა საკითხი, გაცილებით უფრო ეგუება განზრახულ გეგმას, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, აქ შესაძლებელი ხდება ასეთი სახელმძღვანელო გეგმის ცხოვრების განვითარების სარკეში ამოკითხვა; ქალაქში უფრო სჩანს განვითარების ტენდენციები, აქ უფრო მეტი სიმწყობრე და ორგანიზაციაც არის. სოფელი ზანტათ მიიზლაზნება წინ, თვით რევოლიუციის დროსაც კი. ამასთან გლეხის მოუქნელი ბუნებაც ერთგვარ სფინქსივით სდგას ჩვენ წინაშე. აქ განზრახული გეგმა უფრო ნაძალადევი და პიროვნული ხდება, ვიდრე ობიექტიურ პირობებს შეფარდებული.

ამ მხრივ ამიერ-კავკასიაში შედარებით ჯერ კიდევ განსხვავებული მდგომარეობა არის. ანარქიის ცეცხლი და დემოკრატიის რაზმებში არევ-დარევა—აქეთ იმდენათ არ გაძლიერებულა, რომ ყოველგვარ რეფორმებზე ხელი აგვეღო. ასე რომ ჩვენში მიწის საკითხის გადაჭრას უფრო მწყობრი ხასიათი ექნება.

სეიმი უკვე შეუდგა ამ საკითხის გარშემო მუშაობას და სულ მალე ხელს მოჰკიდებს მის პრაქტიკულათ გადაჭრას. ამისთვის მეტი არ იქნება გავითვალისწინოთ, რა ფორმებში შეიძლება გადაიჭრას აქ მიწის საკითხი და

თვალი გადავავლოთ სხვა და სხვა პარტიის დღეს თითქმის მივიწყებულ აგრარულ პროგრამებს. ვიმეორებთ ჯერ ამიერ-კავკასიაში ამ პროგრამებსა და პოლიტიკურ-სოციალურ მდგომარეობის შორის ისეთი კონფლიქტი არ მომხდარა, რომ ისინი უკუგდებულ იქნან; აგრარულ პროგრამებს მიწის რეფორმის პრაქტიკულათ გადაჭრაში აქ არ დაუკარგავთ თავისი ფასი და მნიშვნელობა.

აგრარულ საკითხის გარშემო გაჩაღებულ პარტიულ ბრძოლაში უმთავრესათ ორ ხაზს ვამჩნევთ: „ნაროდნიკულს“ და მარქსისტულს; მართალია მარქსისტებს შორის არ ყოფილა გამომუშავებული ერთი მთლიანი აზრი აგრარულ საკითხში, მაგრამ ჩვენ ამ შემთხვევაში სახეში გვაქვს ოფიციალური პროგრამა სოც.-დემოკრატიისა. ამიერ-კავკასიაშიაც მით უფრო ამ ორ პროგრამას აქვს მნიშვნელობა: ერთი სოც.-რევოლიუციონერების „სოციალიზაციას“, დაშნაკცაკანების და ს.-ფედერალისტების მიერ მიღებულს და მეორე სოც.-დემოკრატების „მუნიციპალიზაციას“. თუმცა აქ ადგილები იცვლება. რუსეთში თუ პირველს ეჭირა უმთავრესი ადგილი და დამფუძნებელ კრებაზე მეტი შანსები ჰქონდა, მეორე კი თითქმის მივიწყებული იყო, აქ მეორე არის უაღრესი, აქ მეორეს აქვს უფრო ფესვები გადგმული.

საზოგადოთ ყოველ აგრარულ პროგრამას ჩვენ, ს.-დემოკრატები ორი თვალსაზრისით უნდა მივუდგეთ: ეკონომიური და პოლიტიკური მიზანშეწონილობის მხრივ. აგრარული რეფორმა ერთის მხრით ხელს არ უნდა უშლიდეს საწარმოვო ძალთა განვითარებას; სხვანაირათ რომ ვსთქვათ არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს პროლეტარიატის ინტერესებს, რადგან ეკონომიური განვითარება და პროლეტარიატის ინტერესები, საერთოდ აღებულნი, ერთმანეთს არ ეწინააღმდეგებიან და ჰარმონიაში არიან. ამაში მდგომარეობს აგრარულ პროგრამის ეკონომიური მიზანშეწონილობა. მეორეს მხრით აგრარული პროგრამის განხორციელება უნდა განამტკიცებდეს დემოკრატიის რევოლიუციონურ ერთობას, მას არ უნდა შეჰქონდეს არევ-დარევა დემოკრატიაში და კერძოთ არ უნდა იწვევდეს გლეხების უკმაყოფილებას.

მიწის სოციალიზაცია არც ერთს ამ დებულებას არ აკმაყოფილებს. მთელი მიწების კონფისკაცია, რომელიც სოციალიზაციის აუცილებელ პირობას შეადგენს, თქმა არ უნდა, დიდ ნაწილს გლეხობისას, წვრილ კერძო მესაკუთრეებს, ამ ზომის წინააღმდეგ აამხედრებს და რეაქციის ტალღებში გადაისვრის. ამის დამამტკიცებელი ნიშნები—რუსეთის ცხოვრებაში უკვე სჩანდა: სოფლის კერძო მესაკუთრეთა სხვა და სხვა ყრილობებზე წვრილი კერძო მესაკუთრე და ფეოდალი ერთმანეთს ხელს აძლევდენ და ერთს კავშირში შედიოდენ.

ამას გარდა სოციალიზაცია, ამ დაბრკოლებასაც რომ გადალახავდეს, ეკონომიური თვალსაზრისით რეაქციონური და მასთან უტოპიური პროგრამა არის. ესერების იდეალი: მიწის თანასწორ სარგებლობის დაწესება და გლეხების ამნაირათ ეკონომიურათ გათანასწორება—როცა მის გვერდით ქალაქში კაპიტალისტური წარმოება განაგრძობს არსებობას—შეუძლებელი არის. ასეთი მიზანი მხოლოდ სოციალიზმს შეუძლია დაისახოს, მაშინ როდესაც სოციალიზაციასა და სოციალიზმს შორის, როგორც თვით ს.-რევოლიუციონერები სამართლიანათ ამტკიცებენ, მხოლოდ ფილოლოგიური მსგავსება თუ არის. (იხ. Черновъ, „Соціализація земли“). საქმე იმაშია, რომ სოციალიზაცია მხოლოდ მიწების გათანასწორებას ჰგულისხმობს, მაშინ როდესაც საწარმოვო იარაღი და კაპიტალი ისევ უთანასწოროთ იქნება დანაწილებული გლეხებს შორის. დიდ ნაწილს გლეხობისას, ეგრ. წ. „ბატრაკებს“—ბოგანო გლეხებს, საწარმოვო იარაღი და თანხა სრულებით არ გააჩნიათ, დანარჩენ გლეხობას კი, თუ აქვს უთანასწოროთ და მეტ-ნაკლებობით; ასე რომ მიწის სარგებლობის თანასწორობა თავისთავად ვერ სპობს ეკონომიურ უთანასწორობას, პირიქით ეს უთანასწორობა და კაპიტალისტური დიფერენციაცია დროთა განმავლობაში კიდევ უფრო გაღრმავდება და თვით მიწის სარგებლობის თანასწორობასაც დაარღვევს. ვინც მეტს თანხას დააბანდებს წარმოებაში და კარგ საწარმოვო იარაღით სარგებლობს—იგი უფრო მეტ ნაყოფს მიიღებს. აქედან ცხადია, რომ სოციალიზაცია ისეთ მიზანს ისახავს, რომლის ასასრულებლათ მას ძალა და საშუალება არა აქვს. მას უნდა სოფლად კაპიტალიზმის, დაქირავებულ შრომის და ეკონომიურ უთანასწორობის მოსპობა, მაშინ როდესაც მხოლოდ მიწებით სარგებლობის გათანასწორება ასეთ მიზანს ვერ მიაღწევს. ამისთვის დაქირავებულ შრომის აკრძალვა რეაქციონური ზომაა და ამავე დროს უტოპიურიც; თვით ბოგანო გლეხები, როცა თავის ნაჭერ მიწას ვერაფერს მოუხერხებენ და დაქირავებულ შრომაში მეტ სარფას დაინახავენ, მოითხოვენ მის ხელახლავ აღდგენას.

ასეთივე ძირითად წინააღმდეგობას ვხედავთ ჩვენ სოციალიზაციის სხვა მხარეებში. ასე მაგ. გლეხებისათვის მიწის დარიგების დროს ს.-რევოლიუციონერებს სახელმძღვანელოთ ორი ნორმა აქვთ: მოთხოვნილების და შრომის. (Потребительная и трудовая). მოთხოვნილების ნორმის განსაზღვრა ყოვლად შეუძლებელი ხდება, რადგან შეუძლებელია გლეხის მოთხოვნილებების ჯერ გამორკვევა და შემდეგ ამის მიხედვით მიწის მიზომვა. რას ჩავთვლით ჩვენ გლეხის მოთხოვნილებათ, იგი დღითიდღე იცვლება. მეორე, შრომის ნორმა კი თავის წიაღშივე თავისივე წინააღმდეგობას ატარებს, ასე რომ განხორციელების უმალ სულ სხვა შედეგებს მოგვცემს, ვიდრე ამას ს.-რ. მოელიან. ვისაც მეტი თანხა აქვს და უკეთესი საწარმოვო იარაღი და მასთან მრავალრიცხოვანი ოჯახი ცხადია იგი გაცილებით მეტს მიწას დაამუშავებს, ვიდრე სხვა. ამისთვის ბოგანო გლეხისათვის ადგილი შესაძლებელია შრომის ნორმა ნულამდისაც დავიდეს. ამნაირათ მიწებით გათანასწორების მაგივრათ ჩვენ თავიდანვე უთანასწორობას მივიღებთ. (იხ. დაწვრილებით: Валентиновъ, „Революція и агр. пр. с.-р.“).

ჩვენ აქ ადგილის უქონლობის გამო არ გამოვუდგებით სოციალიზაციის უარყოფით მხარეების დაწვრილებით ჩამოთვლას, მის დასახასიათებლათ უმთავრესის აღნიშვნაც საკმარისია. ამ პროგრამის განხორციელების შეუძლებლობა რუსეთის რევოლიუციამ კიდევ უფრო ცხადათ გამოაჩინა. როცა კი ესერების ოცნება და მწარე სინამდვილე ერთმანეთს დაუპირდაპირდა, თვითონ ავტორნი დარწმუნდენ თავის პროგრამის უსუსურობაში და შიგ ისეთი ცვლილებების შეტანა დაიწყეს, რომლებიც არსებითად სცვლიდენ სოციალიზაციას. საილიუსტრაციოთ საკმარისია მოვიყვანოთ ზოგიერთი ღებულებანი მიწის მთავარ კომისიის, პროექტისა, იმ კომისიის სადაც დიდი უმრავლესობა ს.-რ. იყვნენ. ამ პროექტით დაქირავებული შრომა რჩება, მაგრამ ეს ცოტაა, მსხვილ მესაკუთრე გლეხებს კონფისკაციის შემდეგ ეძლევათ ორჯერ მეტი, ვიდრე საერთოთ, შრომის ნორმის მიხედვით, დანარჩენებს. აშნაირათ ერთი ხელის მოსმით მთელი არსება სოციალიზაციისა მოსპობილ იქნა. (იხ. Извѣстія Главн. Зем. Ком.).

თუ საზოგადოთ სოციალიზაციის განხორციელება შეუძლებელი და არა სასურველიც არის, ამიერ-კავკასიაში, სადაც საერთო მიწადმფლობელობა არ არსებობს და დიდი უმრავლესობა გლეხობისა კერძო მესაკუთრეა, იგი მით უფრო უაზრო ხდება. წვრილ მესაკუთრეებს მიწა არ უნდა ჩამოერთვას, თუ გვინდა ისინი რევოლიუციას შერჩეს; უნდა იქნეს დაწესებული ერთგვაარი ნორმა, რომლის ზევით მოხდება მიწების კონფისკაცია.

ვის უნდა გადაეცეს ეს მიწები, ან როგორ უნდა განაწილდეს ისინი? აი უმთავრესი საკითხი. მუნიციპალიზაციის დროს ეს მიწები უნდა გადაეცეს მსხვილ თვითმმართველ ერთეულებს, მუნიციპალიტეტებს, რომლებმაც ისინი უნდა გასცეს იჯარით.

იჯარისათვის რასაკვირველია არავითარი მიწის განაწილების წესასწარ-გაანგარიშული ნორმები არ არსებობს, როგორც სოციალიზაციის დროს. ასეთი ნორმა ქვიშაზე არის აშენებული. მიწების განაწილება უნდა მოხდეს იმის და მიხედვით, თუ რამდენი მიწაა, რამდენი მოთხოვნილია და ვინ არის მთხოვნელი,—ყველავითაი ნორმა აქ საქმეს ვერ უშველის. რასაკვიოველია გლეხებს, უფრო კი უიწაყული და ღარიბ გლეხებს, შეღავათი ეიეცემათ, შეიძლება ძათ სრულიად, უიჯაროთ ეიეცეს მიწა, ან მცირე იჯარით. სულ სხვა იქნება კაპიტალისტური იჯარა, რადგან კაპიტალისტურ ფარმოებაში ცხადია რენტა მეტი აიღება; დაქირავებული შრომა მუნიციპალიზაციის დროს აკრძალული არ არის, მაგრამ მთელი ყურადღება მუნიციპალიტეტებში მომუშავე დემოკრატიისა მიმართული იქნება შრომის პირობების გასაუმჯობესებლათ. აშნაირათ გლეხებიც დაკმაყოფილებული იქნება, რამდენადაც ეს შესაძლებელი გახდება და ეკონომიურ განვითარებასაც გზა გაეხსნება. აშასთან ერთად ერთან და თან მუნიციპალიტეტები შეისყიდიან კერძო პირების მიწებს და კერძო საკუთრების ფანატიზმიც ბუნებრივათ და უმტკივნეულათ აღმოიფხვრება გლეხებში. მუნიციპალური მსხვილი წარმოება თან და თან ფართოვდება და საუკეთესო ნიადაგი მომზადდება სოციალიზმისათვის.

ამნაირათ სოციალისტურ პერსპექტივებიდან რომ გამოვიდეთ, მუნიციპალიზაცია საუკეთესო და მასთან ობიექტიურათ შესაძლებელი ზომა არის აგრარულ საკითხის გადასაჭრელათ. მაგრამ ვაი რომ ობიექტიურათ შესაძლეიელი, იგი, სხვა და სხვა მიზეზების გამო— სუბიექტიურათ რუსეთში შეუძლებელი გახდა.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ რუსეთში მუნიციპალიზაციას თვით სოც.-დემოკრატიულ პარტიაშიც კი არ ეწვია ბედი. „მუნიციპალიზაციას, ამბობს ვალენტინოვი, ვერ ითვისებს სოც.-დემოკრატიული ინტელიგეცია, არ იზიარებს მუშათა კლასი და სრულებით უარყოფს გლეხობა“. (Валентиновъ. Пути рѣшенія агр. вопроса. გვ 6).

მუნიციპალიზაცია ძლიერ მუშათა კლასს და სოც.-დემოკრატიულ პარტიას, და მასთან შეგნებულ გლეხობას ჰგულისხმობს—ეს კი რუსეთში არ აღმოჩნდა.

მაგრამ ჩვენში, ამიერ-კავკასიაში, ამ მხრივ საქმე გაცილებით უფრო კარგათ არის. სოც.-დემოკრატიის გავლენა აქ დიდია, ასე რომ მუნიციპალიზაციის განხორციელებას აქ მეტი შანსები აქვს. ყოველ შემთხვევაში ჩვენ მთელი ჩვენი ძალღონით უნდა შევეცადოთ მის ცხოვრებაში გატარებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შეიძლება აქ, ამიერ-კავკასიის სიძცირის გამო, მუნიციპალიზაციამ—ნაციონალიზაციის სახე მიიღო

თუ კი იგი ზოგიერთ ადგილებში ამიერ-კავკასიაშიც ვერ გატარდა, მაგ. მუსულმანებით და სომხებით დასახლებულ ხაწილებში, სადაც ამისთვის ნიადაგი შეიძლება არ იყოს ძხათ, ჩვენ არ უნდა შევუშინდეთ უკანასკნელ ზომასაც, მიწების გლეხებისადმი კერძო საკუთრებათ დარიგებას; ვიმეორებ ეს უკანასკნელი ზომაა და დიდ პლიუსსაც წარმოადგენს, თუ კი მწყობრათ და ორგანიზაციულათ იქნა შესრულებული. მხოლოდ ყოველ შემთხვევაში უნდა ვცდილობდეთ რაც შეიძლება მეტი ჩამორთმეული მიწა გადავიდეს საერთო მფლობელობაში და ნაკლები კერძო საკუთრებათ.

მართალია მიწების წვრილ-წვრილ ნაჭრებათ დაყოფა შედარებით მუნიციპალიზაციასთან მეტად უვარგისი ზომა არის. იგი გაამრავლებს კერძო საკუთრების ფანატიზმით გაჟღენთილ წვრილ გლახობას, გააძნელებს წარმოების კოხცეტრაციას და თვით გლეხებსაც ტანჯვა-წვალებათ გადაექცევა, რადგან მიწას მიაკრავს და ხელფეხს შეუკრავს. „წვრილი მიწათმფლობელობა დიდხანს განსაზღვრავს მეურნეობის ფორმას, ამბობს მასლოვი, მაშინ, როდესაც მიწათსარგებლობა მას არ განსაზღვრავს. ე. ი. თუ მიწა „სამუდამოთ“ გაყოფილია, ამით რამოდენიმე ათეული წლით წინდაწინ განსაზღვრულია ფორმა წვრილ ჩამორჩენილ პარცელიარულ მეურნეობისა, რომელიც მემკვიდრეობის კანონის ძალით ალბათ კიდევ უფრო დაიყოფა. წინააღმდეგ შემთხვევაში კი, თუ გინდ

ჩამორთმეულ მიწების წვრილი მიწათსარგებლობა აიღეთ, მეურნეობის ფორმა არ მაგრდება“.

მიუხედავათ ამისა, „გაყოფა“, ეკონომიურის თვალსაზრისით რეაქციონური ზომა მაინც არ არის. ამისთვის ჩვენ რომ მას მხარი დაუჭიროთ—ეს სრულებით არ იქნება სტიქიურ მოძრაობის ტალღებზე ფატალურათ მინდობა. აგრარული საკითხის გადაჭრით ჩვენ ძველ ფეოდალურ წესწყობილებას ვარღვევთ, ამიტომ „გაყოფა“ მიწებისა აგრეთვე დარღვევა იქნება ფეოდალურ მიწათ-მფლობელობისა და ბურჟუაზიულ მიწათ-მფლობელობისათვის ნიადაგის ჩაყრა. ასე რომ, თუმცა მუნიციპალიზაციასთან შედარებუთ იგი სუსტობს, მაგრამ საერთოდ აღებული მიწების კერძო საკუთრებათ დაყოფა სრულებით არ წარმოადგენს ეკონომიურათ რეაქციონურ ზომას.

დასასრულ უნდა აიღნიშნოს, რომ აგრარული საკითხი-მეტად რთული საკითხია და მით უფრო ამიერკავკასიაში, სადაც მრავალი ერია დასახლებული და ყოველი სოციალური კითხვა ნაციონალურ ხასიათს იღებს. ამისთვის იგი დიდი სიფრთხილითა და ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით უნდა იქნას გადაჭრილი. ყოველი უტოპიური ზომა კი და „აგრარული ბალშევიზმი“ აგრეთვე პარტიული ფანატიზმი და დოგმატიზმი უკუგდებულ უნდა იქნას. ამას მოითხოვს რევოლიუციის კეთილათ დაბოლოვება.

—ა.—ი.

ანარქისტების მოძღვრება და მარქსიზმი.

რუსეთის რევოლიუციის მსვლელობაში ჩვენ ხშირათ ვხვდებით ორ ცნების დაპირდაპირებას, ანარქიზმის და სოციალიზმის. ამ ბოლო დროს ანარქისტულ იდეოლოგიამ ფესვები გაიდგა ფართო მასაში, კერძოთ პროლეტარიატში და ამის გამო ბალშევიზმი, რომელიც თავისი ტაქტიკით, უმთავრესათ, უახლოვდებოდა ანარქიზმს, თან და თან კარგავს თავის გავლენას უკიდურესთა წრეებში.

მაქსიმალიზმი, როგორც უაღრესი განვითარება ხალხის რევოლიუციონურ სულისკვეთებისა, თანდაყოლილი თვისებაა ყოველივე დიად დემოკრატიულ მოძრაობისა, მაგრამ მასთან ერთად ის მხოლოდ შეუგნებელთა ხვედრია.

რაღა გასაკვირია ამიტომ ის გარემოება, რომ რუსეთში ანარქისტების გავლენა ძლიერი იყო და არის.

რაში მდგომარეობს ანარქიზმი? რათ უპირდაპირებთ მას სოციალიზმის მოძღვრებას? რათ მიგვაჩნია ის მუშათა კლასის დამღუპველათ?

აი ამ კითხვებს რომ ვუპასუხოთ, საჭიროა მარქსისტულ თვალსაზრისით განვიხილოთ ანარქისტულ მოძღვრების **უმთავრესი** პრინციპები.

ანარქიზმში მრავალი მიმართულება არსებობს. თითქმის ყოველ ანარქისტს თავისი განსაკუთრებული თეორია აქვს. ეს არც არის საკვირველი, ვინაიდან ანარქისტები უაღრესი ეკლექტიკოსები და სუბიექტივისტები არიან.

მაგრამ ზოგადი დებულებანი წითელი ზოლივით არიან გატარებულნი თვითეულ ანარქისტის მოძღვრებაში და საერთოთ ანარქიზმის დამახასიათებელ თვისებებს შეადგენენ.

ანარქიზმის მიზანი, იდეალი, რომლისთვისაც არის აშენებული მთელი ფილოსოფიური მოძღვრება, მდგომარეობს ადამიანის პიროვნების სრულ თავისუფლებაში. „შეუზღუდველი, აბსოლიუტური თავისუფლება ადამიანისა და მოქალაქისა—აი ჩვენი იდეალი“. ამბობს **პრუდონი** („Les confession d'un révolutionnaire“). „ჩვენ გამოვდივართ პიროვნების თავისუფლებიდან და შემდეგ კი თავისუფალ საზოგადოებისაკენ გადავდივართ“, „გააკეთე, რაც გსურს, გააკეთე, როგორც გსურს“, „ჩვენ მხოლოდ რჩევას მოგცემთ, მასთან დავუმატებთ, რომ ეს რჩევა შენთვის იმდენათ იქნება ძვირფასი, რამდენათაც შენ თვითონ დარწმუნდები მის საჭიროებაში“, „საზოგადოებას არ შეუძლია დასაჯოს რომელიმე ადამიანი, რანაირი დანაშაულიც არ უნდა მიუძღოდეს მას ამ საზოგადოების წინაშე“—ასე მოგვითხრობს ცნობილი ანარქისტი **პ. კროპოტკინი**. („Завоеваніе хлѣба“, „Черное Знамя“).

მაქს შტირნერმა ეს იდეა უმაღლეს წერტილამდე მიიყვანა. მისთვის პირადი ბედნიერება—უმაღლესი, უკეთილშობილესი კანონია. მოუსმინოთ მას: „ადამიანურია. თუ არა, ლიბერალურია თუ არა ლიბერალური (ე. ი. ის, რასაც თვითონ აკეთებს. მ. ხ.), ყველაფერი ეს კარგი და მისაღებია, თუ კი ამგვარი მოქმედება ჩემს მიზანს მიმაღწევინებს და **მე დამაკმაყოფილებს**“. მას სძულს მორალი, სამართალი, რელიგია—ვინაიდან ეს უკანასკნელნი ახშობენ პიროვნების თავისუფლებას. უპირველესი მიზანი კი—პიროვნების თავისუფლებაა ყველგან და ყოველთვის; ამას ყოველი ანარქისტი აღიარებს.

მართლაც, თავისუფლებაზე უდიდესი ბედნიერება არაფერი არ არსებობს. პიროვნების და კაცობრიობის განთავისუფლება—ხომ სოციალიზმის იდეალსაც შეიცავს. მაგრამ სოციალიზმი, მარქსიზმი ისტორიულათ იკვლევს პიროვნების თავისუფლების პრობლემას და შემდეგ ამისა იმ დასკვნამდე მიდის, რომ პიროვნების თავისუფლება, მისი აუცილებლობა და საჭიროება დამოკიდებულია ამა თუ იმ სოციალურ წესწყობილებაზე. პირველყოფილ კომუნისტურ საზოგადოებაში, სადაც თემი იყო გამეფებული და წარმოებას საზოგადოებრივი ხასიათი ჰქონდა, ინდივიდუალიზმისათვის არ იყო ადგილი; ბრძოლა არსებობისათვის ითხოვდა, რომ პიროვნება სრულიად დამორჩილებოდა ოჯახს, თემს. ეს მოვლენა—აუცილებლობის ნაყოფი იყო.

ფეოდალიზმის დროს—პიროვნების თავისუფლების იდეალის მატარებელს გაბატონებული ფეოდალთა კლასი

შეადგენდა. თავადი მიისწრაფოდა თავისუფლებისაკენ, მას უნდოდა სრული დამოუკიდებლობა მოეპოვა, ამას მოითხოვდა ფეოდალის მატერიალური ინტერესი. პირიქით გლეხი ამგვარ წესწყობილებაში იძულებული იყო თავადისათვის ემუშავნა, მას რომ პიროვნების სრული დამოუკიდებლობა მოეთხოვა იმ დროს, „უნდა შიმშილით მომკვდარიყო“,—სამართლიანათ შენიშნავს **ნ. ჟორდანია.**

ფეოდალიზმი შეიცვალა კაპიტალისტურ წესწყობილებათ. ახალი ერა—კერძო ადამიანის ინიციატივისა და თვითმოქმედების ასპარეზი შეიქნა. პიროვნების თავისუფლების მოთხოვნილება მთელი თავისი სიძლიერით წარმოსდგა იმ კლასის წინაშე, რომელიც მიისწრაფოდა გამდიდრებისაკენ. ეს კლასია—ბურჟუაზია. ბურჟუაზიამ შექმნა თავისი იდეოლოგია, რომელსაც საფუძვლათ დაედვა პირადი თავისუფლების პრინციპი. Laissef faire—laissez passer—*) აი ბურჟუაზიულ ლიბერალიზმის მთავარი მოთხოვნილება. სწორეთ ამ ნიადაგზე აღორძინდა უკიდურესი ინდივიდუალიზმი და მასთან ერთათ ანარქიზმიც. ეს რომ ასე არის, პრუდონის შემდეგ სიტყვებიდან დავინახავთ: „აი ჩვენი სისტემა—სინიდისის, პრესის, შრომის, ვაჭრობის, კონკურენციის და სხვ. თავისუფლება... თავისუფლება აბსოლიუტური, თავისუფლება ყველგან და ყოველთვის. ეს არის 1789 და 1793 წლის სისტემა, სისტემა კენეს, ტიურგოს და ჟანბაპტისტისა“...

მაგრამ დროთა მსვლელობაში გამოირკვა, რომ თავისუფალ კონკურენციის სისტემა, პრუდონის მიერ ქებაშესხმული, თურმე კაპიტალისტის თავისუფლება ყოფილა, რომელიც თავისუფლათ და მასთან ერთათ შეუბრალებლათ ყვლეფს მუშათა კლასს. ამ ნიადაგზე აღმოცენდა მუშათა მოძრაობა, ბურჟუაზიულ ლიბერალიზმის წინააღმდეგ მიმართული. მუშათა კლასი დღესაც განაგრძობს ბრძოლას, ამის გამო ბურჟუაზიის თავისუფლებას ფრთა ეკვეცება; ის იძულებულია ბევრი რამ დაუთმოს თავის კლასიურ მოწინააღმდეგეს.

ბრძოლა რომ უფრო ნაყოფიერი იყოს, პროლეტარიატი ქმნის ძლიერ ორგანიზაციას და კერძო პიროვნებას აიძულებს განსაზღვრულ დისციპლინას დაუმორჩილდეს. უმცირესობა უმრავლესობას ემორჩილება. ამგვარათ პროლეტარიატის სოციალური მორალი სრულიად ვერ ურიგდება ბურჟუაზიულ ინდივიდუალიზმს.

თანამედროვე ანარქიზმი კი, რომელიც თავის მამამთავრათ **პრუდონს** აღიარებს, მიუხედავათ იმისა, რომ ის სასტიკათ აკრიტიკებს ბურჟუაზიულ წყობილებას, სწორეთ ამ ბურჟუაზიულ წყობილებაზე აღორძინებულ ლიბერალიზმის პირმშო შვილია.

ეს ჩვენთვის უფრო ნათელი იქნება მაშინ, როდესაც გავარკვევთ, რას ებრძვის უმთავრესათ ანარქიზმი, რა გვარ საზოგადოებრივ წესწყობილებისაკენ მიისწრაფის ის.

*) „მომეცით საშვალება თავისუფლათ ვიმოქმედო, თავისუფლათ ვიარო“ (დაახლოვებით მ. ხ.).

მეცნიერული სოციალიზმი პოლიტიკურ წყობილების საფუძველს ეკონომიურ ურთიერთობაში ხედავს. მართალია, თვით პოლიტიკას, როგორც ერთ-ერთ „ზედნაშენს“ დიდი გავლენა აქვს ეკონომიურ საფუძველზე, მაგრამ მას მაინც არ ძალუძს ეს საფუძველი რადიკალურათ გარდაქმნას.

სულ სხვანაირათ მსჯელობენ ანარქისტები. პრუდონის აზრით, სოციალური წყობილება—პოლიტიკური წყობილების, სახელმწიფოს ნაყოფია.

მალატესტას ნაწერებში („Ч. Знамя“) ასეთ ახირებულ აზრს შეხვდებით: „**მთავრობა**, რომელიც რამოდენიმე პირისაგან შესდგება—აიძულებს თვითეულ ადამიანს (მოქალაქეს) შეასრულოს კანონი, **ქმნის** ხალხისაგან განცალკევებულ და პრივილეგიებით აღჭურვილ კლასს“. ყოველივარ ბოროტების მიზეზათ ანარქიზმის მიერ პოლიტიკური ძალა, სახელმწიფო არის გამოცხადებული. მოსპეთ სახელმწიფო და აღარ იქნება ეკონომიური მონობა, არც სხვა რაიმე ბოროტება საზოგადოებაში.

მთელი სიძულვილი, მთელი კრიტიკული ენერგია ანარქიზმისა მიმართულია სახელმწიფოს წინააღმდეგ, რა ნაირ ფორმისაც არ უნდა იყოს იგი. „ჩვენ მთელი ჩვენი არსებით გვძულს მონარქია, მაგრამ ჩვენ მასთან ერთათ ღრმათ ვართ დარწმუნებული, რომ რესპუბლიკაც კი ვერ შესძლებს თავის ქვეშევრდომთა ბედნიერებასა და თავისუფლების უზრუნველყოფას“. *) (**ბაკუნინი**) „ისეთ დემოკრატიულ ქვეყნებშიაც კი, როგორიც არის ჩრდილოეთ ამერიკის შტატები და შვეიცარია, ძლევამოსილი უმცირესობა ბატონობს დიდ უმრავლესობაზე“.

სოციალ-დემოკრატების თვალსაზრისით, დემოკრატიული სახელმწიფოებრივი წყობილება ოთხ ფორმულიან საარჩევნო სისტემით—უძლიერესი იარაღია პროლეტარიატის ხელში, რომლის საშვალებით ის აძლიერებს სოციალისტურ პროპაგანდას და მუშათა ორგანიზაციებს.

ანარქისტები კი ებრძვიან, როგორც ბიუროკრატიულ, ისე უაღრესათ დემოკრატიულ სახელმწიფოსაც. „დემოკრატია—უსაზღვროთ გაფართოვებული სახელმწიფოა“ „დემოკრატია—ბრბოს მთავრობაა“, „ჩვენი მიზანია—მოვსპოთ დემოკრატია ისე, როგორც მოვსპეთ მონარქია. თავისუფლება ვერ თავსდება დემოკრატიაში“... (პრუდონი) მაგრამ, თუ უარყოფთ წარმომადგენლობის სისტემას, როგორღა უნდა გადასწყდეს საერთო კითხვები? ცხოვრების სინამდვილემ აიძულა ანარქისტები რამოდენიმეთ მაინც მიეღოთ დელეგაციის პრინციპი. „100—200 კაცი, რომელნიც ერთათ მუშაობენ და ერთმანეთს კარგათ იცნობენ, რაიმე კითხვის გამო მსჯელობენ ერთათ და მიდიან განსაზღვრულ დასკვნამდი. შემდეგ ისინი **ირჩევენ** თავიანთ წრიდან დელეგატებს, რომელნიც სხვა დელეგატებთან ერთათ გამართავენ მოლაპარაკებას“. ამორჩეულ დელეგატს მხოლოდ იმპერატიული მანდატი აქვს, მას მხოლოდ მოლაპარაკება შეუძლია,

*) Эльцбахеръ.—Анархизмъ.

საკითხს კი ისევე მისი ამმრჩევლები (200—300 კაცი) სწყვეტენ. რა თქმა უნდა ასეთი სისტემა გამოსადეგარია პატარა სოფლის საზოგადოებაში და სრულიად შეუფერებელია თანამედროვე რთულ სახელმწიფოში და საერთაშორისო ურთიერთობაში.

ასეთი სიძულვილი სახელმწიფოსადმი გამოწვეულია უმთავრესათ იმ მოსაზრებით, რომ სახელმწიფო ზღუდავს პიროვნების თავისუფლებას, ანარქისტებისათვის კი პიროვნების სრული ავტონომია—უპირველესი პირობაა, conditio sine qua non. რას გვაძლევს ანარქიზმი მის მიერ დანგრეულ სახელმწიფოს ნაცვლათ?

„როდესაც ჩვენ სახელმწიფოს ნგრევას ვცდილობთ, ჩვენ მივისწრაფით იმისკენ, რომ შევასუსტოთ და იმდენათ დავანაწილოთ, როგორც ტერიტორიალურათ, ისე ფუნქციონალურათ პოლიტიკური ძალაუფლება, რომ ბოლოს და ბოლოს იგი სრულიად მოისპოს“.—ამბობს **კროპოტკინი** („Хлѣбъ и воля“). ამიტომ სრული პოლიტიკური დეცენტრალიზაცია, ავტონომია თვითეულ პროვინციის, ქალაქის, სოფლის და შემდეგ ამ ავტონომიურ ერთეულთა თავისუფალი შეერთება ფედარაციის პრინციპის საშვალებით—აი ანარქისტული გეგმა. *) „აუცილებელია აღვადგინოთ პსკოვი და ნოვგოროდი, მაგრამ ისე, რომ თვითეული სოფელი, თვითეული პროვინცია პსკოვს და ნოვგოროდს წარმოადგენდეს“. (ibidem).

ცენტრალიზმის და დეცენტრალიზაციის საკითხს მარქსიზმი სულ სხვანაირათ სწყვეტს. ჩვენი შეხედულებით, თანამედროვე პოლიტიკური ცენტრალიზმი კაპიტალისტურ წყობილების მიერ არის გამოწვეული. დღეს ვაჭრობა-მრეწველობა განსაზღვრულ ცენტრებში ძლიერდება, სადაც თავს იყრის მთელი ერის ცხოველმყოფელი ძალები; ამ ცენტრში მოთავსებულია ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრების დედა-ძარღვი. აშკარაა, ეკონომიური ცენტრალიზაცია პოლიტიკურ ცენტრალიზაციას მოასწავებს. ამას ითხოვს საზოგადოებრივი განვითარების ლოღიკა. ვინც კი ამ ლოღიკას ებრძვის, რა თქმა უნდა ის დონ-კიხოტის მოღვაწეობას ეწევა.

ანარქისტების პოლიტიკური მოძღვრება, რომელიც უარეს დეცენტრალიზმის პრინციპებზე არის აშენებული, ლოღიკურათ გამომდინარეობს მათ სოციალურ-ეკონომიურ გეგმიდან. რანაირია ანარქისტების სოციალურ-ეკონომიური იდეალი?

პრუდონი უარყოფს თანამედროვე ეკონომიურ წყობილებას, მაგრამ ის ბოროტებას კაპიტალისტურ წარმოებაში და კერძო საკუთრებაში კი არ ხედავს, არამედ იმაში, რომ ქონება უთანასწოროთ არის განაწილებული. „ჩვენ გვინდა,—ქონებათა გათანასწორება (nivellement), რამდენათაც ის იქნება თანასწორ გაცვლის, (обмѣнъ), ურთიერთ თანხმობის და დახმარების შედეგი“... „სოციალიზმი, ამ სიტყვის საუკეთესო შინაარსით, ნიშნავს ვაჭრობა-მრეწველობის თავისუფლებას, ურთიერთ დაზღვევას, კრედიტს, უზრუნველყოფას თანასწორ ქონებით, მუშის მონაწილეობას მწარმოებელის მოგებაში (sic! მ. ხ.)“ და სხვა და სხვა.

აქედან ცხადია, პრუდონი არ ეწინააღმდეგება კერძო საკუთრების პრინციპს, მას მხოლოდ საკუთრების თანამედროვე ფორმა არა სწამს, ე. ი. ერთი მხრით მსხვილი კაპიტალი და მეორე მხრით სრული სიღატაკე. მისი იდეალი—ინდივიდუალური დამოუკიდებელი წარმოებაა, რაც სავსებით შეეხმატკბილება წვრილ ბურჟუაზიის სულისკვეთებას.

ამ წვრილ-ბურჟუაზიულ იდეოლოგიას არ გასცილებია არც ჩვენი დროის ანარქისტ-კომუნისტების თეორია. **პ. კრაპოტკინს** ასე მარტივათ აქვს წარმოდგენილი ანარქისტული წყობილება: მთელი ხალხი პატარა-პატარა თემებათ არის დაყოფილი, თვითეულ თემს ეძლევა საკუთრებათ საწარმოო იარაღები. გლეხების თემი მიიღებს მიწას, ქარხნის მუშები—ქარხანას, რკინის გზის მუშები—რკინის გზას და სხვა. ყოველი ასეთი თემი, **კომუნა** თავისუფალი და დამოუკიდებელია. კომუნებს შეუძლიათ ერთმანეთს შეეერთდენ თავისუფალ კავშირში არა სავალდებულო ხელშეკრულობის ძალით. კომუნის წევრები თავისი ხურვილით არიან კომუნაში, ოფიციალურათ მათ ნებისყოფას არავინ არ ზღუდავს.

ამგვარი გეგმა მარქსისტებს წვრილ ბურჟუაზიულ ხასიათის უტოპიათ მიაჩნიათ. ანარქისტები ვერ ხედავენ, ან და უკეთესათ რომ ვსთქვათ, მათ არ უნდათ დაინახონ თანამედროვე ხანის უზარმაზარი კაპიტალისტური მექანიზმი, ამიტომ ისინი ასე ადვილათ თხზავენ სხვა და სხვა ფანტასტიურ პროექტებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეიცვალოს რთული კაპიტალისტური წარმოება წვრილ იხდივიდუალურ წარმოებათ. დამოუკიდებელი წვრილი მეურნეობა—ხომ იგივე პრუდონის წვრილ მესაკუთრის იდეალია.

მარქსიზმი, წინააღმდეგ ანარქისტულ მოძღვრებისა, სოციალისტურ წარმოების იდეალს ისახავს. თანამედროვე მსხვილი წარმოება არ დასაწილდება, რთული ტეხნიკური აპარატი კი არ დაიშლება, პირიქით უფრო გაფართოვდება, მოისპობა მხოლოდ კერძო საკუთრება. საწარმოო იარაღთა განსაზოგადოებრივობა—აი სოციალიზმის მთავარი პრინციპი. მომავალ წყობილების დროს თვითეულს საშვალება მიეცემა იშრომოს, ვინაიდან საწარმოო აპარატი—საერთო საკუთრებას შეადგენს. შრომის ნაყოფი—კი მუშის პირადი საკუთრება იქნება, რომლიდან პატარა ნაწილი საზოგადოების საჭიროებათათვის გადაიდება. ამ იდეალის განხორციელება შესაძლო იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ამისათვის სათანადო ეკონომიური პირობები მომზადდება; სოციალური რევოლიუცია მხოლოდ მაშინ შესძლებს გამარჯვებას. დღეს-დღეობით კი სოციალისტურ პროლეტარიატის მოვალეობას შეადგენს ამ ობიექტიურ პროცესის დაჩქარება და გაფართოვება, მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობე-

---

*) შეადარეთ ამ გეგმას ლენინის „საბჭოთა ფედერაცია“.

სობა ეკონომიურ და პოლიტიკურ ბრძოლის საშვალებით. ბრძოლა რეფორმებისათვის, სამუშაო დღის შემცირებისათვის და ხელფასის მომატებისათვის, სოციალისტური პროპაგანდა, მუშათა შეკავშირება—აი სოციალისტურ პარტიის ყოველდღიური მუშაობის შინაარსი.

ანარქისტები კი ასეთ ზომიერებას ვერ ურიგდებიან. უნდა სიმართლე ვაღიარაოთ, ანარქისტები უკომპრომისო და ენტუზიაზმით სავსე მებრძოლნი არიან; ისინი მოუწოდებენ ხალხს დღესვე მოახდინონ სოციალური რევოლიუცია. „უმოკლესი გზა ორ წერტილს შორის—პირდაპირი ხაზია. ერთი წერტილი—დღევანდელი წყობილებაა, მეორე კი—ანარქია“. (კროპოტკინი). „ჩვენ გვინდა ბუნტი. .....მე-70-თიან წლებში ბაკუნინიც ქადაგებდა ბუნტს. სოციალისტები სცდილობდენ გაეტარებიათ ეს იდეა ცხოვრებაში, მაგრამ **მათ ვერ შესძლეს** გამოეწვიათ აჯანყება და სოციალური რევოლიუცია“. (კროპოტ.) მხცოვან ანარქისტის სიტყვებიდან ნათელია, რომ სოციალური რევოლიუცია შესაძლებელია დღესვე, ეკონომიური პირობები მას ვერ შეაჩერებს. საჭიროა მხოლოდ მოხერხებული რევოლიუციონერები, ერთი კარგი აჯანყება და მეტი არაფერი. Action directe—ანარქისტულ ტაქტიკის უმთავრესი პრინციპია.

ასეთი ტაქტიკა ბალშევიკებმაც შეითვისეს; მათ შეიარაღებულ აჯანყების საშვალებით უნდოდათ სოციალისტური წყობილება დაეარსებინათ ნახევრათ ფეოდალურ რუსეთში. ანარქო-ბალშევიკურმა ტაქტიკამ დაღუპა რუსეთი. საგულისხმიეროა, რომ პეტრე კროპოტკინი, რომლის სიტყვები ჩვენ ასე ხშირათ მოგვყავდა, რუსეთის რევოლიუციის განმაელობაში თავის შეხედულებებით თითქმის ყოველთვის კადეტების პოზიციაზე იდგა. მისი ანარქისტული იდეოლოგია, ილიუზიებით სავსე, მან ვერ გამოიყენა. მას სძულს ლენინი. რატომ? იმიტომ, რომ ლენინი დაუახლოვდა ანარქისტებს და კერძოთ „ანარქიის“ ავტორს, პეტრე კროპოტკინს?

კროპოტკინის მაგალითი ნათლათ ამტკიცებს, თუ რა აქვს საერთო ანარქიზმის მოძღვრებას რეალურ ცხოვრებასთან!

ვაი ისეთ პოლიტიკოსს, რომელიც ულმობელ სინამდვილის მიერ დაყენებულ კითხვებს თეორიულ ილიუზიებით უპასუხებს.

ბ. ხუნდაძე.

კოოპერაცია და ქართველი ს.-ფედერალისტები.

VII.

საწარმოო კოოპერატივები სოფლის მეურნეობაში.

წინა წერილებში ჩამოთვლილი ყველა დაბრკოლებანი, რომელნიც უნდა გადალახონ საწარმოო კოოპერატივებმა, ეხებიან სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციასაც. განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ეს დაბრკოლებანი სოფელსა და ქალაქში მეტ-ნაკლებობით იჩენენ თავს. მაგ., პირველი დაბრკოლება—თანხის სიმცირე—დღეს დღეობით ქალაქში უფრო მწვავე და საბედისწეროა, ვინემ სოფლათ. სოფლის მეურნეობაში დღეს შედარებით ნაკლები თანხაა საჭირო, ვიდრე ინდუსტრიაში; ამასთანავე კაპიტალიზმი ჯერ სოფლათ არაა სათანადოთ ფეხმოდგმული და განვითარებული, ყველა ეს კი სოფლის მეურნეთ შეძლებას აძლევს **შედარებით** ნაკლები თანხით და „რისკით“ მოაწყონ საწარმოო კოოპერატივები.

სამაგიეროთ მეორე და მესამე დაბრკოლება—წვერთა კომერციული უვიცობა და უდისციპლინობა—სოფლათ უფრო ძლიერია, ვინემ ქალაქათ. ქალაქის მუშა თავის შეგნება-განვითარებით გაცილებით მაღლა სდგას სოფლის მუშაზე; მას ადვილათ შეუძლია შეიგნოს კოოპერაციის დიადი მნიშვნელობა. საქმის ხელმძღვანელთაც ქალაქის მუშები გაცილებით ადვილათ იშოვნიან, ვინემ სოფლის მუშები.

ამრიგათ ზემოაღნიშნული სამი უმთავრესი დაბრკოლება **ბოლოს და ბოლოს** ერთნაირათ ეხება როგორც ქალაქის, ისე სოფლის საწარმოო კოოპერატივებს. ამიტომ უკანასკნელთ სოფლათ ისეთივე ბედი უნდა ჰქონდეთ, როგორც ქალაქში... ერთი შეხედვით ჩვენ ვხედავთ სოფლათ თითქოს სრულიად წინააღმდეგს. თუ საწარმოო კოოპერატივები ქალაქებში, როგორც ეს ზემოთ ვნახეთ, მუდამ მარცხდებიან და თანდათან ქრებიან, სოფლათ ისინი გასაოცარი ტემპით მიდიან წინ, ვითარდებიან. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში საწარმოო კოოპერატივთა რიცხვი დღეს ათასობით ითვლება.

ეს გარემოება ძლიერ ადიდგულებს მარქსიზმის

კრიტიკოსებს, რევიზიონისტებიდან დაწყებული სხვა და სხვა ჯურის უტოპისტ-სოციალისტებამდე; ისინი აქ ხედავენ მარქსიზმის „საშინელ გაკოტრებას“. მართალია ეს?—ვნახოთ! ჯერ ერთი, რომ საწარმოო კოოპერატივთა ზრდას სოფლათ როგორც ზემოთაც მოვიხსენიეთ ხელს უწყობს, კაპიტალიზმის განუვითარებლობა. მაგრამ ეს პირობა არაა გარდაუვალი რამ. საფინანსო კაპიტალის მეფეებს სოფელი რეზერვში აქვთ ჩარიცხული და ვერავითარ „სამართლიანობის პრინციპებით“ ვერ შეაჩერებენ მათ მსვლელობას სოფლისკენ უტოპისტ-სოციალისტები.

მეორე უფრო საყურადღებო გარემოება, რომელსაც გვერდს უვლიან უტოპისტ-სოციალისტები, გამოიხატება იმაში, რომ ისინი მხედველობაში იღებენ სოფლის საწარმოო კოოპერატივთა მხოლოდ მშრალ ციფრებს, რიცხვს. ამ ციფრების ყოველმხრივ ანალიზს კი ისინი გაურბიან; ეს ბუნებრივია, ვინაიდან წინააღმდეგი, თავისივე ხელით თავის ყელის გამოჭრა იქნებოდა. მაშ ჩვენ თვითონ შეუდგეთ ამ საქმეს!

პირველი, რაც თქვენ ყურადღებას იპყრობს ამ ანალიზის დროს, ის ფრიად საგულისხმიერო გარემოებაა, რომ **არსად** სოფლათ, როგორც რუსეთში, ისე დასავლეთ ევროპაში, ჩვენ ვერ ვხვდებით **დამოუკიდებელ და წმინდა ტიპის საწარმოო კოოპერატივებს.**

განვიხილოთ ცალკ-ცალკე ეს ორი ფრიად საყურადღებო მოვლენა: 1) დამოუკიდებლობის უქონელობა და 2) შრომის პრინციპების მივიწყება.

1)—დამოუკიდებლობის უქონელობა—გამოიხატება იმაში, რომ საწარმოო კოოპერატივს არ შეუძლია თავის საკუთარი ძალით, დაუხმარებლათ აწარმოოს საქმე... წინააღმდეგ შემთხვევაში ის უთუოდ მსხვერპლი გახდება მსხვილი კაპიტალის კონკურენციისა. და მართლაც ჩვენ ვხედავთ, რომ სადაც კი ფეხმოდგმულია საწარმოო კოოპერატივები, ისინი ძლიერ დავალებულია მთავრობათა და კერძო პირთა დახმარებით. ამ მოვლენას ადგილი ყველგან აქვს, როგორც რუსეთში, ისე მთელ დასავლეთ ევროპაში; ამას ერთნაირათ ამტკიცებენ, როგორც **ტოტომიანცი** (Сельско-хозяйственная кооперація), ისე **ტუგან-ბარანოვსკი** (Соц. основы кооперации). ამ მხრივ, **ტოტომიანცის** მოწმობით, **გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ** დანია, სადაც საწარმოო კოოპერატივები განვითარდენ მთავრობის დაუხმარებლათ. *).

მთავრობის და კერძო პირთა დახმარება მეტათ დამაფიქრებელია საწარმოო კოოპერატივთათვის. როდესაც სოფლათ შეიჭრება მსხვილი კერძო კაპიტალი და შეეჯახება კოოპერაციას, აი სწორეთ ამ საბედისწერო მომენტში უკანასკნელს ველარ უშველის ვერც მთავრობა და ვერც კერძო პირები.

ვინ გაუბედავს ურჩობას სხვილ კაპიტალისტებს, საფინანსო კაპიტალის კაროლებს! ქვეყნის მთელი კაპიტალიც და მთავრობაც მათია; ეს უკანასკნელი ხომ, როგორც მარქსი იტყოდა ხოლმე, ფინანსისტთა უბრალო აღმასრულებელი კომიტეტია!

გაცილებით უფრო სანუგეშოა დამოკიდებულების მეორე სახე—მომხმარებელ კოოპერატივებთან დაკავშირება. ეს უკანასკნელი ახასიათებს ყველა დღემდე არსებულ სოფლის საწარმოო კოოპერატივებს. ავიღოთ რამოდენიმე მაგალითი.

მეღვინეთა ამხანაგობანი **საფრანგეთში** აღორძინდენ სწორეთ იქაურ მომხმარებელ კოოპერატივთა წყალობით. სამხრეთ საფრანგეთის მეღვინეთა საწარმოო კოოპერატივთათვის, მაგ.—**მაროსანის** ამხანაგობისათვის, მომხმარებელ კოოპერატივებს (პარიზის და სხვ.) რომ არ გაეწიათ დახმარება, როგორც საქონლის გასაღებით ისე ფულით, ისინი, როგორც ამას **ტოტომიანციც** მოწმობს, ვერ აღორძინდებოდენ. **).

მაროსანის ამხანაგობის წესდების მე-5 მუხლში პირდაპირ აღნიშნულია, რომ მომხმარებელ კოოპერატივებს, რომელნიც ამ ამხანაგობისაგან ყიდულობენ ღვინოს, ნება აქვთ, როდესაც სურთ, მას კანტროლი გაუკეთონ, თუ რამდენათ სწორია მისი ოპერაციები და შინაგანი ორგანიზაცია. ***) ახალი წესდების ძალით კი საწარმოო კოოპერატივის ყოველი წევრი ვალდებულია იყოს მომხმარებელ კოოპერატივის წევრათაც. ****) **ბესანის** კოოპერატივთა შესახებ **ტოტომიანცი** სწერდა: „...უცილოა, რომ მომხმარებელ კოოპერატივების დახმარება მათაც ფეხზე დააყენებსო„. *****) და სხვა. ასეთსავე დამოკიდებულებაშია საფრანგეთის მეპურეთა საწარ-

---

*) Тотомянцъ, Сельско-хозяйств. кооперація, 1908 წ. გვ. 161. **) ibid., გვ. 42—3. ***) ib., გვ. 44. ****) ib., 44. *****) Ib., გვ. 53.

მოო ამხანაგობანი ადგილობრივ მომხმარებელ კოოპერატივებთან. ფაქტიურათ ისინი უკვე შეერთებული არიან. *). ავიღოთ მერძევეთა (ყველის და ერბო-კარაქის მკეთებელი) ამხანაგობანი სოფლათ ამათაც ძლიერ მჭიდრო კავშირი აქვთ მომხმარებელ კოოპერატივებთან, რომელნიც მათ უსაღებენ, მცირე გამონაკლით, თითქმის მთელ ნაწარმოებს. ასეთ ურთიერთობას ჩვენ ვხვდებით ბელგიაში, შვეიცარიაში, დანიაში (ნაწილობრივ), გერმანიაში, იტალიაში და სხვ. **).

მომხმარებელ კოოპერატივებს უკავშირდებიან, ასე გასინჯეთ, თვით მიწის კოლექტიურათ ხაიჯარო ამხანაგობანიც კი. ***).

ამ უკანასკნელთ პირველნი აწვდიან სხვა და სხვა საჭირო საგნებს (მაგ. მიწის სასუქი და სხვ.) და უსაღებენ სხვა და სხვა ნაწარმოებს. მე აღარ მოვიყვან მაგალითებს ამის შესახებ პოლონეთიდან, ამერიკა-შვეიცარია-ნორვეგიიდან და სხვ. სახელმწიფოებიდან. ჩემ თავს ნებას მივცემ, ყველა ზემონათქვამის შემდეგ, უფრო თამამათ გავიმეორო, რომ საწარმოო კოოპერატივები სოფლათ მჭიდროთაა შეკავშირებული მომხმარებელ კოოპერატივებთან. ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლათ, მე ეხლავე უნდა აღვნიშნო, რომ ასეთი დამოკიდებულება სრულიადაც არაა უარყოფითი მოვლენა კოოპერაციის ცხოვრებაში. პირიქით ეს მოასწავებს კოოპერაციის სწორ გზაზე შედგომას. რომ ქალაქის საწარმოო კოოპერატივებს მჭიდრო კავშირი ჰქონებოდათ მომხმარებელ კოოპერატივებთან, ისინი სულ ადვილათ აიცდენდენ თავიდან იმ ისტორიულ კრახს და გადაგვარებას, რომელიც მათ განიცადეს ყველგან, მთელი დედამიწის ზურგზე.

საქმე შემდეგშია: ყოველ საწარმოო კოოპერატივს, როგორც მწარმოებელს, უხდება კონფლიქტი 1) სხვა მწარმოებლებთან და 2) მომხმარებლებთან. ეს ანტაგონიზმი შეუძლია გააქარწყლოს მხოლოდ მომხმარებელ კოოპერატივთა კავშირ-კანტროლ'ს (თუ როგორ, ამაზე შემდეგ). ამასთანავე მომხმარებელ კოოპერატივს აქვს თავის საკუთარი, მუდმივი ბაზარი, სადაც ის ასაღებს თავის მოკავშირე—საწარმოო კოოპერატივის ნაწარმოებს და ამით ძლიერ დიდ სამსახურს უწევს მას. „...ერთხელ კიდევ ვიმეორებთ, ამბობს ერთ ალაგას **ტოტომიანცი**, რომ სოფლის კოოპერატივთა გამარჯვება უმეტესათ დამოკიდებულია ქალაქის მომხმარებელ კოოპერატივთა დახმარებაზე. **მხოლოდ** ამ უკანასკნელთ შეუძლიათ გადალახონ ის სერიოზული დაბრკოლებანი, რომელთაც კოოპერაცია განიცდის სოფლათ, სადაც ნატურით გაცვლა-გამოცვლა ჯერ კიდევ დიდ როლს თამაშობს“. *).

მაგრამ ეგევე ურთიერთობა საწარმოო და მომხმარებელ კოოპერატივთა შორის **გვიჩვენებს პირველთა განვითარების საზღვარს**. მომხმარებელ კოოპერატივებს არ შეუძლიათ მთელი ნაციონალური ბაზრის დაპყრობა: ამიტომ ვერც მათი მოკავშირე საწარმოო კოოპერატივები დაამზადებენ ყველა იმ საგნებს, რაც მთელ ნაციას ესაჭიროება; ე. ი. ისინი ვერ ჩაიგდებენ ხელში მთელ მოთხოვნა-მიწოდების საქმეს. მაგრამ ამას ჩვენ დეტალურათ ქვემოთ განვიხილავთ!

ახლა კი შევეხოთ საწარმოო კოოპერატივთა მეორე მხარეს—შრომის პრინციპების შელახვას მათში.

უნდა აღინიშნოს, რომ სოფლის საწარმოო კოოპერატივში სამწუხაროთ არსად არაა დაცული შრომის პრინციპები; იქ ყველგან დაქირავებული შრომაა გამეფებული. ამ მხრივ ეს ამხანაგობანი აქციონერულ საზოგადოებებს უფრო გვანან, ვინემ კოოპერატივებს. მაგალითად: **ციმბირის** და **დანიის** მერძევეთა საწარმოო ამხანაგობანი დაქირავებულ შრომით აწარმოებენ მთელ საქმეებს. რაც შეეხება **იტალიას** და **შვეიცარიას**, მათზე ლაპარაკიც მეტია: მათი სოფლის მერძევეთა საწარმოო კოოპერატივები თითქმის უკვე მემამულეთა და კაპიტალისტთა ხელშია.

იტალიის სარძევე კოოპერატივთა შესახებ **ტოტომიანცი** სწერს: „...ამ სარძევე ამხანაგობათაგან კოოპერატიული პრინციპები რამდენიმეთ განდევნილია, ვინაიდან **რძის მომტან წევრებთან ერთათ** იქ იღებენ წევრებათ **კაპიტალისტებსაც**“ **) (ხაზი ჩემია ს. მ.). შვეიცარიის სარძეო ამხანაგობანი კი იმავ **ტოტომიანცის** მოწმობით „...უფრო ჰგვანან კაპიტალისტთა კარტელებს, ვინემ კოოპერატივებს“. ***) ასეთივე მდგომარეობაა,

*) ib., გვ. 66. **) ib., 146,7,8; 206. ***) ibid., გვ. 85.

**) ibid., გვ. 149.
*) ibid., გვ. 99.
**) ibid., გვ. 189,238.

თუ უარესი არა, გერმანიაში. *) ამავე სურათებს —შრომის პრინციპების მივიწყება-გადაგვარებისას ვხედავთ ჩვენ მეზვინეთა (საფრანგეთი, ავსტრო-უნგრეთი, იტალია, ისპანია-პორტუგალია), მეპუ-რეთა (საფრანგეთი) და სხვ. სოფლის საწარმოო ამხანაგობათა შორის.

„სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია, ამბობს **ტოტომიანცი**, არამც თუ მიმართავს ხშირათ **დაქირავებულ შრომას**, მას **არ შეუძლია** აიცდინოს მასთან (ე. ი. მუშებთან ს. მ.) **კონფლიქტიც კი**". **) (ხაზი ჩემია ს. მ.).

მეორე გამოჩენილ ეკონომისტ-კოოპერატორ **ს. პროკოპოვიჩზე** იმდენათ უმოქმედნია სოფლის საწარმოო კოოპერატივთა გადაგვარებას, რომ იგი ერთ ალაგს სწერს: „...**სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები** წარმოადგენენ კოოპერატიულ ორგანიზაციათა მხოლოდ **სუროგატსო**" ***) (ხაზი ჩემია, ს. მ.).

აქ ჩვენ შეგვიძლია შევჩერდეთ!

აი რა მოგვცა სოფლის საწარმოო კოოპერატივთა მოკლე ანალიზმა! მათ განვითარებიდან სრულიადაც არ გამომდინარეობს უტოპისტ-სოციალისტებისათვის სასიანოვნო დასკვნა. ამას აშკარათ მოწმობს: 1) სოფლის საწარმოო კოოპერატივთაგან შრომის პრინციპების მივიწყება, მათი გადაგვარება და 2) მათი დამოკიდებულება მთავრობასა და მომხმარებელ კოოპერატივებისაგან, რაც საზღვარს უდებს მათ განვითარებას.

ს. მისელიძე.

გურიის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციების მეორე კონფერენცია.

1 მარტს 4 საათზე გაიხსნა გურიის ახ. მარქსისტთა ორგანიზაციების მეორე კონფერენცია. თავმჯდომარეთ აირჩიეს ამხ. ვ. ღლონტი, მის ამხანაგათ ბ. გიორგაძე, მდივნებათ: კ. ორაგველიძე და პ. ფირცხალაიშვილი. დამტკიცდა შემდეგი დღიური წესრიგი: 1) მოხსენებები ადგილებიდან, 2) მიმდინარე მომენტი. 3) ცენტრალ. ორგანო („ჩვენი გზა"). 4) შეიარაღების შესახებ. 5) არჩევნები. აირჩიეს სამანდატო კომისია.

დელეგატებმა გააკეთეს მოხსენებები: ოზურგეთიდან, ლანჩხუთიდან, ჩოხატაურიდან, შუხუთიდან, სუფსიდან და სხვ. ადგილებიდან. შემდეგ გადავიდენ მესამე კითხვის განხილვაზე, რადგან მეორე კითხვა დიდ დროს ითხოვდა და დელეგატები უკვე დაღალულნი იყვნენ. ორგანოს შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ვ. ღლონტი. მას საჭიროთ მიაჩნია „ჩვენი გზის" არსებობა, რადგან ის უფრო მარტივი ენით იწერება და შეაკავშირებს გურიის ორგანიზაციებსო. „ახალი კვალი" მეცნიერული წერილებით სავსეა და ის ბევრ ჩვენგანისათვის ხელმიუწვდომელიაო. შემდეგ იმართება კამათი. მოხსენების წინააღმდეგ სიტყვა ეძლევა ამხ. კ. ორაგველიძეს. ის აკრიტიკებს ცალკ-ცალკე მოხსენების დებულებებს და აღნიშნავს, რომ მთელი ყურადღება ცენტრს უნდა მიექცეს; თუ ცენტრი არ გავამაგრეთ, უჩვენოთ ვერ იარსებებს და ჟურნალი დაიხურებაო. ეს კი გამოიწვევს ახალგაზრდობის ნორჩ კავშირის დარღვევას, მის ძალთა დაქსაქსვას. „ჩვენ გზა"-ს არც შესაფერი ხელმძღვანელნი ყავს, მას კარგად ვერ გაუძღვებიან და ამიტომ გაზეთს მკითხველი მოაკლდება. საჭიროა ეს ჩვენ დროზე გავითვალისწინოთ და ისე გადავსჭრათ საკითხიო. ამ საკითხზე ლაპარაკობენ აგრეთვე ამხ. გიორგაძე, კეკელიძე, ჭყონია, დუდუჩავა და ფირცხალაიშვილი. ზოგი მათგანიც წინააღმდეგია მოხსენების. დიდი ხნის შემდეგ კამათი სწყდება და სიტყვა მომხსენებელს ეძლევა. ის იცავს თავის მოხსენებას. წარმოადგინეს ორი რეზოლიუცია: პირველი კ. ორაგველიძემ,—მიიღო 4 ხმა, მეორე მომხსენებელმა და მიიღო 20 ხმა, 2 კი თავი შეიკავა.

მეორე სხდომაზე სამანდატო კომისიის სახელით მოხსენებას აკეთებს ჭეიშვილი. კონფერენციაზე წარმოდგენილი ყოფილა 12 ორგანიზაცია,—29 დელეგატით, რომლებიც აკავშირებენ 1000-მდე ახალგ. მარქსისტებს. ამის შემდეგ ამხ. შ. დუდუჩავამ გააკეთა მოხსენება მიმდინარე მომენტზე. მან ვრცლათ ილაპარაკა კოალიციონურ მთავრობის მოღვაწეობაზე; იგი ამართლებდა მის მოქმედებას. შემდეგ შეეხო კორნილოვის გამოსვლას, ოქტომბრის გადატრიალებას და მის სამწუხარო შედეგებს. მხარს უჭერდა სეიმს და ამ.-კავკასიის დამოუკიდებლობას. წინააღმდეგი იყო ეროვნულ საბჭოების. აგრარულ საკითხის გადაჭრის დაგვიანების შესახებ სხვათა შორის სთქვა: კოალიციონურმა მთავრობამ მიწა იმიტომ არ მისცა გლეხებს, რომ შემდეგ ისინი მას გადაუდგებოდენო. გაიმართა ცხარე კამათი. ილაპარაკეს ამხ. ფირცხალაიშვილმა (ინტერნაც.) ჭეიშვილმა, კ. ორაგველიძემ (ნ. ჟ—ნიას მიმდევრები), კონტრიძემ და სხვ. შემდეგ სხდომაზე წარმოადგინეს ორი რეზოლიუცია. პირველი რუსეთის ობორონცებმა, მეორე ინტერნაც. და ნ. ჟ—ნიას მიმდევრებმა. პირველმა მიიღო 8 ხმა, მეორემ 18, სხვებმა თავი შეიკავა. შეიარაღების შესახებ ისევ დუდუჩავა აკეთებს მოხსენებას. აღნიშნავს **კრიტიკულ მდგომარეობას**

***) იხ. აგრეთვე Ильинъ, „Аграрный вопросъ и критики Маркса" გვ. 251,242.

*) Тотомянцъ, Сельско-хозяйственн. кооперація, გვ 207.

**) С. Прокоповичъ, Кооперативное движеніе въ Россіи, 1913 წ., გვ. 126.

და საჭიროთ სცნობს ახალგაზრდობის შეიარაღებას, რათა სოფლებში მაინც დაიცვან რევოლიუციონური შესრიგი. მის რეზოლიუციას ღებულობენ. დასასრულ მოხდა არჩევნები გურიის კომიტეტის და საკანტროლო კომისიის. კომიტეტში აირჩიეს: ამხ. კ. ორაგველიძე, ბ. გიორგაძე, ევ. ჭყონია, ს. ბაღდავაძე (პროვინცია), ვ. ღლონტი, შ. დუდუჩავა, პ. ფირცხალაიშვილი, ნ. გოგუაძე, ივ. ჭეიშვილი (ოზურგეთი), ორი კანდიდატით. საკანტროლო კომისიაში აირჩიეს იპ., გეგიაძე ივ., კონტრიძე ბ., ჩიტაიშვილი ვ., როყუა ნ., ორი კანდიდატი.

კონფერენცია დაიხურა 2 მარტს საღამოს $9^1/_2$ საათზე.

კონფერენციის მდივანი კ. **ორაგველიძე.**

ამიერკავკასიის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის პირველი კონფერენცია.

(მოხსენებები ადგილებიდან).

3. ყვირილის ორგანიზაცია.

ყვირილის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაცია დაარსდა რევოლიუციის პირველ დღეებში. ამ ორგანიზაციაში შედიოდენ ყველა ახალგაზრდები, რომლებიც კი თანაუგრძნობდენ რ. ს.-დ. მ. პარტიას. იყვნენ მათ შორის მუშები, სტუდენტები, საშვალო და დაბალ სასწავლებლის მოწაფენი, ორივე სქესისა. ზაფხულის განმავლობაში ორგანიზაცია ენერგიულათ მუშაობდა: აწარმოებდა როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ მუშაობას. ჩვენი ორგანიზაცია შეეცადა შორაპნის მაზრის სხვა და სხვა რაიონებში დაეარსებინა ორგანიზაციები და დაარსა კიდეც, რომლის შემდეგ ქ. ჭიათურაში მოხდა მთელი მაზრის ორგანიზაციათა კონფერენცია. სექტემბრის დამდეგს ამხანაგები სხვა და სხვა სასწავლებლებში წავიდ-წამოვიდენ და ორგანიზაცია დროებით დაიშალა კიდეც. მოკლე ხანში მოეწყო ახალი, რომელიც აქამდე ენერგიულათ მოქმედობს. ირიცხება 90-დე კაცი. მთელი ორგანიზაცია ორ კატეგორიათ არის გაყოფილი: მაღალი და დაბალი. პირველში გადიან ბოგდანოვს და სხვ., კითხულობენ რეფერატებს და ხელმძღვანელობას უწევენ დაბალ კატეგორიის ახალგაზრდებს. მეორე, დაბალ კატეგორიაში იწყებენ მეცადინეობას პოლიტიკის და ეკონომიკის ან-ბანიდან. ადგილობრივად ორგანიზაცია არ სცემს ორგანოს. ის წინააღმდეგია დღევანდელ პირობებში გამოიცეს პროვინციალური ორგანოები. გვაქვს საკუთარი კასა და ბიბლიოთეკა. კასაში დაახლოვებით 200 მანეთამდეა. უმთავრესი წყარო კასისა არის საღამოების გამართვა და საწევრო გადასახადი, რომელიც თვიურათ არის 25 კაპ., ერთდროული—50 კ. ყვირილაში სხვა და სხვა პარტიის ორგანიზაციები აქამდე არ არსებობდა. ესენი ამ ბოლო ხანებში შესდგა. ჩვენი ორგანიზაცია სცდილობს ამ ჯამათ მათთან გამართოს დამოკიდებულება რეფერატების კითხვის სახით. ამასთანავე ორგანიზაცია ეხმარება ცენტრალურ ორგანოს „ახალ კვალს“ როგორც მასალებით, ისე ნივთიერათაც. მომხსენებელი **დ. ორაგველიძე.**

4. ოზურგეთის ორგანიზაცია.

ოზურგეთის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციას საფუძველი ჩაეყარა რევოლიუციის პირველ დღეებში. შიგ შედიან წევრებათ როგორც მოწაფენი, ისე არა მოწაფეებიც. წევთა რიცხვი ორასამდეა; ორგანიზაცია ფრაქციულია (მენშევიკური) და მოქმედების დროს ამაჟე ხაზს ატარებს. მთელი ორგანიზაცია დაყოფილია პოლიტიკური ცოდნის და მიხედვით ორ კატეგორიათ, ხელმძღვანელობას უწევენ მოწინავე პირები. გვაქვს საკუთარი სამკითხველო, საცა სხვა და სხვა ჟურნალ-გაზეთები მიდის. უკანასკნელ ხანებში ორგანიზაციამ გამოსცა ყოველკვრეული ორგანო „ჩვენი გზა“. საწევრო გადასახადი არის ერთდროული 50 კ.—თვიური 30 კ.

მომხსენებელი **შ. დუდუჩავა.**

5. ლანჩხუთის ორგანიზაცია.

მარქსისტ მოწაფეთა წრე ძველი რეჟიმის დროსაც იყო. ამას მოუსწრო რევოლიუციამ და მოწაფეებიც აშკარათ დაირაზმა ჩვენ ორგანიზაციაში. მაგრამ მათ არ ჰყავდათ ხელმძღვანელი. ზაფხულში ჩამოვიდენ ქალაქებიდან უფროსი ამხანაგი-მოწაფეები და მათი მეთაურობით დაარსდა უკვე ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაცია, განურჩევლათ პროფესიისა. შემდეგ ლანჩხუთში გაიხსნა გიმნაზია, მოწაფეებიც ბლომათ შეიკრიბა და მუშაობა უფრო ენერგიულათ წავიდა. ორგანიზაციაში ბალშევიკებიც არიან, მაგრამ მათი მოქმედების ხაზი არის მენშევიკური. წევრთა რიცხვი უდრის 138-ს. ორგანიზაცია გაყოფილია ორ კატეგორიათ. კომიტეტმა შეიმუშავა წესდება და პროგრამა, რომლის მიხედვით სწარმოებდა მეცადინეობა. ფინანსიურის მხრივ ორგანიზაცია უნუგეშო მდგომარეობაშია. საწევრო გადასახადია ერთდროული 50 კ. თვიური 30 კ. ვმართავთ წარმოდგენებსაც. ადგილობრივ გვქონდა ხელთნაწერი ჟურნალი, მაგრამ დაიხურა, რადგანაც დიდ შრომას და დროს ითხოვდა. „ახალი კვალი“-ს გამოსვლას ჩვენი ორგანიზაცია აღტაცებით შეხვდა და აღმოუჩინეს მას დახმარება ყოველმხრივ. საღდება ასი ცალი. გვაქვს დამოკიდებულება სხვა და სხვა პარტიებთან. ვმართავთ ლექციებს და ვკითხულობთ რეფერატებს. აგრეთვე გვაქვს საკუთარი ბიბლიოთეკა.

მომხსენებელი **კ. ორაგველიძე.**

ახალგაზრდა მარქსისტთა შორის.

ბათუმის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის გარშემო.

რამდენიმე წლის წინეთ რ. ს.-დ. პარტიაში მომხდარმა განხეთქილებამ ძლიერი ფესვები გაიდგა, მიმდინარე რევოლიუციაში კი ყოველივე მოლოდინს გადააჭარბა. ერთ დროს არსებული მთლიანი პარტია, რამდე-

Შ 984
1918 53.

ნიმე ფრაქციებათ და პარტიათ დაიყო და ურთიერთს სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადა. ცენტრში ანოებული ბრძოლის ცეცხლი პერიფერიებსაც მოედო და აქაც სასტიკი ომი გაჩაღდა.

ეს ასე მოხდა მოზრდილთა ორგანიზაციებში. იგივე განმეორდა ახალგაზრდათა შორის. მიუხედავათ ამისა ბათუმის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციამ გადასწყვიტა სასტიკი ბრძოლა გამოეცხადებინა პარტიის ასეთ დაქუცმაცებისათვის, შებრძოლებოდა ორივ უკიდურეს ფრთას და მით ხელი შეეწყო მთლიანობის აღდგენისათვის. ამის გამო დაარსების პირველ დღეებში ორგანიზაციაში თანხმობა იყო გამეფებული და ფრაქციათა შეხლა-შემოხლა უმნიშვნელო ხასიათს ღებულობდა. მაგრამ გავიდა ხანი და ასეთი ერთობა თანდათან მძიმე ხდებოდა. მიუხედავათ იმისა, რომ მეუმრავლესეთა ფრთა უმნიშვნელო ძალას წარმოადგენდა, დანარჩენებმა გადასწყვიტეს ყოველივე ზომები მიეღოთ საერთო ენის გამოსანახავათ და განხეთქილების თავიდან ასაცილებლათ დათმობის გზას დაადგენ. ამ საშვალებით მათ შესძლეს 14 იანვრამდე დაეცოო ორგანიზაციის მთლიანობა. მხოლოდ 14 იანვარს გასწყდა შემაერთებელი ძაფი. დღეს ნათლათ გამორკვა გზა-აბნეულთა ფიზიანომია და ყველასათვის ნათელი შეიქნა თუ როგორ ხელოვნურათ მოამზადეს ნიადაგი განხეთქილებისათვის. ამ დღეებში დანიშნული იყო ამიერ-კავკასიის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციების კონფერენცია, რომლის დელეგატები 14 იანვრის კრებას უნდა ამოერჩია. ბათუმის ორგანიზაცია დიდი ხანია სცდილობდა მოეწვიათ კონფერენცია და ამ მიზნით რამოდენიმე წერილიც კი გაგზავნა ცენტრალურ კომიტეტში; ამ წერილების გაგზავნის დროს მეუმრავლესეთ ხმაც არ დაუძრავთ და დღეს კი მოითხოვეს არ მიეღოთ კონფერენციაზე მონაწილეობა. მიუხედავათ ყოველივე ეს ამისა გამოენახათ შემაერთებელი საბი, რათა მთლიანობა არ დარღვეულიყო, მათ ყოველივე უარყვეს და თუთიყუშივით წინადადების განმეორება იწყეს. როდესაც კრებამ კითხვა დადებითად გადასჭრა, მათ განაცხადეს, ყოველივე კავშირს ვსწყვეტთ ორგანიზაციასთანა და დემონსტრატიულათ დარბაზი დასტოვეს; 75 წევრთაგან მათ მხოლოდ 8-მდე გაჰყვათ.

სანამ ორგანიზაცია გაერთიანებული იყო და ფრაქციათა კრებულს წარმოადგენდა, ეს მთლიანობა რომ არ დარღვეულიყო, იგი ნეიტრალიტეტს იკავდა და არც ერთ პარტიასთან დამოკიდებულება არ ჰქონია, მხოლოდ ცდილობდა წევრები გაეწვრთნა პოლიტიკურ კითხვებში და შეესწავლებინა სოც.-დემოკრატიული მოძღვრება. მეუმრავლესეთა ჩამოშორების შემდეგ ორგანიზაციამ მიიღო წმინდა მენშეიკური (გაერთიანებული) ხასიათი და შესაფერ ორგანიზაციებსაც დაუკავშირდა. უკანასკნელ დღეებში აირჩიეს წარმომადგენელი მოზრდილთა ადგილობრივ პარტიულ—ცენტრალურ კომიტეტში და პასუხისმგებელი კორესპოდენტი ბეჭდვითი ორგანოებისათვის. მობილიზაციის გამო მოხდა კომიტეტის რეორგანიზაცია. არჩეული იქნა საკმაოთ ფხიზელი და ენერგიული მუშაკები. დღემდე ორგანიზაციაში ენერგიული მუშაობა სწარმოებდა, რის გამო მატერიალურადაც საკმაოთ მოლონიერდა. საჭიროა მომავალშიაც კომიტეტმა და საზოგადოთ წევრებმა მეტი უნარი გამოიჩინონ, შემოიკრიბონ მის გარშემო მოზარდი თაობა და უფრო მეტი ენერგიით შეუდგენ მარქსისტულ თეორიის შესწავლას და მით მომავალ თაობას შესძინონ ბასრი იარაღით აღჭურვილნი მებრძოლნი.

სასურველია ორგანიზაციაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებდენ მობილიზაციის დროს სხვა და სხვა ადგილებიდან გადმოტყორცნილი ამხანაგები, სტუდენტები და საერთოთ ახალგაზრდობა და მით სათანადო წვლილს შეიტანდენ ორგანიზაციის მუშაობაში.

სპარტაკი.

ბახვის ორგანიზაცია.

19 თებერვალს ბახვის სკოლის დარბაზში მოხდა ბახვის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის წევრთა არაჩვეულებრივი კრება. დღის წესრიგი იყო: 1) სარევიზიო კომისიის მოხსენება. 2) გურიის კონფერენცია. 3) წრეების დაარსება და სხვა.

კრებამ თავმჯდომარეთ აირჩია ამხ. ტილიძე და მდივნათ შ. ცქვიტინიძე.

სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. ი. გეგიაძემ გააცნო კრებას სარევიზიო კომ. ანგარიში. ანგარიში კრებამ დაამტკიცა. გურიის კონფერენციის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ან. ტილიძემ. მან აუხსნა კრებას გურიის კონფერენციის მნიშვნელობა და დღის წესრიგის უმთავრესი საკითხები, სხვათა შორის საკითხი ცენტრალურ ორგანო „ახალი კვალისა“ და გურიის ორგანო „ჩვენი გზის“ შესახებ.

ამ საკითხმა დიდი კამათი გამოიწვია: ბოლოს კრებამ სასურველათ სცნო ორივე ორგანოს არსებობა, თუ კი ეს მატერიალურათ შესაძლებელი იქნება. თუ კი ორგანიზაცია ვერ შესძლებს ორივეს შენახვას, მაშინ „ჩვენი გზა“ დაიხუროს და მისი ქონება გადაეცეს ცენტრალურ ორგანოს.

ამის შემდეგ კრებამ აირჩია სამი დელეგატი კონფერენციაზე გასაგზავნათ: ათ. ტილიძე, ვ. ისწყირველი და ი. გეგიაძე. კანდიდატათ კ. ძნელაძე.

დაბოლოს კრებამ გადასწყვიტა მთელი ორგანიზაციის ძირითადი გარდაქმნა და სამეცადინო წრეების მოწყობა.

მოწაფე.

ლიხაურის ორგანიზაციის ცხოვრებიდან.

18 თებერვალს, სკოლის დარბაზში, შესდგა ლიხაურის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის წევრთა კრება. განსახილველი იყო შემდეგი საკითხები: მომენტი, გაზეთ „ჩვენი გზი“-ს შესახებ, გურიის კონფერენცია და სხვა წვრილმანი საკითხები.

თავმჯდომარეთ კრებამ აირჩია ამხ. ალ. მაღულარია, მდივნათ თ. ჭელიძე. მომენტის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. კონტრიძე. ოპონენტებათ გამოვიდენ: ბ. შარაშანიძე (ბოლშ.), გერმანე ურუშაძე (ინტერნაც.), და სხვა ამხანაგები.

გაზეთ „ჩვენი გზი“-ს შესახებ კრებამ დაადგინა: იარსებოს გაზეთ „ჩვენმა გზამ“, რადგანაც ის ამზადებს ახალგაზრდობას ჟურნალ „ახალი კვალი“-ს წასაკითხავათ და თავისი არსებობით სარგებლობას მოუტანს ჟურნალ „ახალ კვალს“. აგრეთვე კრებამ გადასწყვიტა გაუწიოს ორივეს მატერიალური დახმარება.

გურიის კონფერენციის დელეგატებათ კრება ირჩევს ამხ. ბ. შარაშანიძეს და გ. ურუშაძეს.

მწუხრიშვილი.

რედაქტორ-გამომცემელი:

სარედაქციო კოლეგია.

სტამბა **ბართლომე კილაძისა**, ველიამინოვის ქუჩა, № 3.